342 N17659

ბრძოლა

I წ. ჰერიოდული გამოცემა რევოლიუციონერ სოციალ-დემოკრატთა დასისა. I წ.

№ 1. სექტემბერი 1901 წ. № 1.

მიიღეთ და შეიტკბეთ!

ვუძღვნი ჩემს უძვირფასეს ამხანაგებს, ჩემთან ციხეში და ლიხნში შეზრდილთ, რკინის გრდემლივით ცემლში გამოწრთობილთ, ცხოვრების წაღმა-უკუღმა ტრიალში მებრძოლთ, უშიშარ გმირთ, სიმართლისთვის თავდადებულთ, ადამიანის ზნეობრივად ამამაღლებელთ. დაჩაგრულთა და ჩაგრულთა გამამხნევებელთ, უსამართლობის ბოროტთა დამლეწთ, ადამიანის შებორკილ ჯაჭვთა დამამსხვრეველთ, მეცნიერების განმთავისუფლებელთ, ეზოარად საპყრობილეთა დამგრეველთ, მანდილოსანთა პატიოსნების აღმდგენელთ, ბნელში მანათობელთ და გაბედულ ვეკაცთ, თავისუფლების, სიყვარულის და ერთობის დროშის მატარებელთ, ერთგულ და სიმართლისათვინ ტანჯულ-წამებულ ამხანაგებს!..

მუშა

რედაქციისაგან.

დარწმუნებულნი, რომ ქართველ მეგნებული მკითველებისათვის თავისუფალი პერიოდული გამოცემა არ-პითი კითხვაა; დარწმუნებულნი, რომ დღეს ეს კითხვა უნდა გადაწყდეს და მეტი დაგვიანება საერთო საქ-ართვის მხოლოდ ზარალი იქნება; დარწმუნებულნი, იმ ყოველი შეგნებული მკითხველი სიამოვნებით მიე-ბება ამ გვარ გამოცემას და თავის მხრივ ყოველ გვარ ეხმარებას აღმოუჩენს. ჩვენ ერთი ჯერჯერობით ქართველ რევოლიუციონერ სოციალ-დემოკრატებისა, ხის ვუსაუბრეთ, ამ ითხოვნილებას და ჩვენი შეძლებისა დაგვარათ ვა-ბაყოფილებთ მკითხველების სურვილს. ჩვენ გამოგვყავს ერველი ნომერი ქართული პირველი თავისუფალი გაზეთი „ბ რ ძ ო ლ ი“ სა

რომ მკითხველს ჰქონდეს ადვილად ყველაფერი შეხედულობა ჩვენს გამოცემაზე, და სურვილი ჩვენზეც, ვთქვათ ორიოდ სიტყვა

სოციალ-დემოკრატიულმა მოძრაობამ ელ-შეუხებელი არ დასტოვა ქვეყანა არც ერთი კუთხე. არ დაჯერ-ება მას რუსეთის ის კუთხეც, რომელსაც კავკასიას ვუწოდებთ და კავკასიასთან ერთად ჩვენ საქართველოც. საქართველოში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა ხნი-ერი არ არის, სულ რამდენიმე წელიწადია და დანამდ-ვილებით რომ ითქვას საძირკველი ამ მოძრაობისა ეხო-�იოდ 1896 წელს ჩაეყარა. როგორც ყველგან, ისე ჩვე-ნშიც, პირველ ხანში მუშაობა არ გადადიოდა საიდუმ-ლოების, კონსპირაციის საზღვარს იქით. აგიტაცია და ფართო პროპაგანდა იმ სახით, როგორსაც ეხედავთ უკა-ნასკნელ ხანში შეუძლებელი იყო და ნებაუფლებურად მთელი ძალა ტრიალებდა განსაზღვრულ წრეებში. გაგ-რა ამ ხანამ, სოციალ-დემოკრატიული იდეა მოეფინა მუ-შათა მასას და მოქმედებაც გამოვიდა თავის ვიწრო კონ-სპირატიულ ფარგლიდან, მოედო მუშების საკაო ნა-წილს და დაიწყო აშკარა ბრძოლა. ბრძოლამ წამოაყენა პირველ მუშაკთ ბევრი ისეთი კითხვა, რომელიც აქამ-დე დაჩთოლილი იყო და მათ ახლას იმდენად არა, სა-ჭიროებდენ. პირველად ყოვლისა მთელი თ ვისი სიმძ-�იერ წამოდგა კითხვა: რა საშუალება გვაქვს ბრძოლის ფართო ნიადაგზე დასაყენებლად. ამ კითხვაზე სიტყვითი დ[illegible]ესი მეტად მარტივი და ადვილია. სულ სხვა გამოდის ეს ქმით.

[illegible] თავის თავად იგულისხმება, რომ სოციალ-დემოკრა-ტიულ ორგანიზაციულ მოძრაობისათვის უმთავრესი საშუალებაა ფართო პროპაგანდა და აგიტაცია რევოლუციონერი იდეებისა. მაგრამ ის პირობები, რომლებშიც ეუხდება მოქმედება რევოლიუციონერს, იმდენად მოწინააღმდეგენი არიან, იმდენად სამძიმონი და დიდი მსხვერ-პლის მომთხოვნი არიან, რომ პროპაგანდაც და აგიტაციაც ხშირათ უხერხული ხდება იმ სახით, როგორც არის ხოლმე მიღებული მოძრაობის პირველ ხანში. წრეებში მეცადინეობა წიგნების და ბროშურების ხელმძღვანელობით მოუხერხებელი ხდება ჯერ პოლიციურის პირობებით და შემდეგ თვით საქმის დაყენებით. აგიტაცია სუსტდება პირველი დატუსაღებიდანვე. შეუძლებელი ხდება მუშებთან კავშირი და ხშირი სიარული, მუშა კი ელის არა ერთი მწვავე კითხვის ახსნას, მის გარშემო გამწვავებული ბრძოლა, ბრძოლაში ყოველი ღონე ამის საწინააღმდეგოთ არის მიმართული და მას არა აქვს საშუალება შეხედოს კრიტიკულის თვალით თანამედროვე ცხოვრების პირობებს, არა აქვს არავითარი ცნობები საქმის ვითარებაზე და ხშირად საკმარისია ამა თუ იმ მუშის მახლობელ ქარხანაში საქმის მცირეოდენად დამარცხება, რომ რევოლიუციონურად მოწყობილი მუშის ბუნება გრილდება, ჰკარგავს რწმენას მომავალზე და ხელმეორედ გამოსაბრუნებელი ეხდება საქმის წინამძღვარს.

აგიტაცია ბროშურებით, რომლებიც მხოლოდ რომელიმე განსაზღვრულ კითხვებზედ იძლევიან პასუხს მომეტებულ შემთხვევაში ნაკლებნაყოფიერია. თავისთავად აუცილებელი ხდება მოწყობა იმ გვარი ლიტერატურისა, რომელიც იძლევა პასუხებს დღიურ კითხვებზედ. ჩვენ არ შეუდგებით ამ საყოველთაო ცნობილი აზრის დამტკიცებას. ქართველ მუშათა მოძრაობაში უკვე დადგა ის ხანა, როდესაც ერთ უნთავრეს იარაღად პერიოდული გამოცემა ხდება.

ზოგიერთ გულუბრყვილო მკითხველის საყურადღებოთ საჭიროდ მიგვაჩნია, ორიოდ სიტყვა ვთქვათ ლეგალურ გაზეთზე. ჩვენ დიდ შეცდომათ ჩავთვლიდით, თუ რომ რომელიმე მუშა ლეგალურ გაზეთს, რა პირობებითაც უნდა იყოს იგი გარემოცული, რა მიმართულებასაც უნდა ადგეს იგი, ჩასთვლის თავის, მუშის, ინტერესების გამომხატველად. მუშებზე „მზრუნველ“ მთავრობას მშვენივრადა აქვს მოწყობილი საქმე ლეგალურ გაზეთებთან. მთელი ბროვა ჩინონიკებისა ცენზორებათ წოდებულნი მიჩენილი ჰყავს მათ და ისინი საგანგებოთ ადევნებენ თვალს, წითელ მელანს და მაკრატელს თუ სადმე თუნდ პუპუტანიდან გამოსვეიოდეს სიმართლის და ჭეშმარიტების სხივი. ცირკულიარი ცირკულიარს მოსდევს ცენზორთა კომიტეტებში „არაფერი გაუშვათ მუშების შესახებ, არ გამოაქვეყნოთ ეს თუ ის მოვლენა, არ მისცეთ ნება ამა და ამ ადგილზე „ჯაბაასისო“ და სხვა და სხვა. ამ პირობებში, რა ოქმა უნდა, გაზეთი ვერ მოეწყობა სასურველად და მუშა ტყუილად დაუწყებს

ძებნას მასში თუნდ სტრიქონთა შუაც მისი საქმის შესახებ ცნობებს და სწორე შეხედულებას. თუ ვიტყვით იმ-ას, რომ მუშას შეუძლიან ისარგებლოს ამა თუ იმ ლეგალური გაზეთის იმ ათასში ერთ სტრიქონებით, რომლებიც გაკვრით შეეხებიან მის საქმეს და რომლებიც მხოლოდ შეცდომით გაეპარებათ ჯალათ ცენზორებს,— უნდა ეთქვათ ისიც, რომ დამყარება იმედებისა ამ გვარ ნაწყვეტებზე და აშენება ამ ამ აბდაუბდებზე რაიმე სისტემისა ამტკიცებს მხოლოდ მკითხველის უსუსურობას და საქმის არ ცოდნას.

ვიმეორებთ, ამას ვამბობ მხოლოდ ზოგიერთ გულუბრყვილო მკითხველების საყურადღებოთ.

მაშ ასე, ქართული თავისუფალი პერიოდული გამოცემა აუცილებელ მოთხოვნილებას შეადგენს სოციალ-დემოკრატიული მოძრაობისათვის. კითხვა ესლა იმაშია, თუ როგორ მოეწყოს ეს გამოცემა, რითი უნდა ხელმძღვანელობდეს და რა უნდა მიაწოდოს ქართველ სოციალ-დემოკრატს.

გარედან რომ შეხედოს კაცმა ქართული გაზეთის არსებობის კითხვას საზოგადოდ და მის შინაარს-მიმართულებას კერძოდ, თითქოს თავის თავად ბუნებრივად აშკარად სწყდება ეს კითხვა: ქართველი სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა არ წარმოადგენს კერძო, მარტო ქართველ მუშათა მოძრაობას საკუთარის პროგრამით. ის ხელისხელ გადახვეულია მთელი რუსეთის მოძრაობასთან და, მაშასადამე, ექვემდებარება რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. აქედან ცხადია ქართული სოციალ-დემოკრატიული გაზეთი უნდა წარმოადგენდეს მხოლოდ ადგილობრივ ორგანოს, რომელიც უპირატესად ადგილობრივ კითხვებს უნდა შეეხოს და უნდა იყოს გამომხატველი მხოლოდ ადგილობრივი მოძრაობისა. მაგრამ ამ პასუხს იქით უნდა ეძებ ისეთი წინააღმდეგობა, რომლის გვერდზე ავლა არ შეგვიძლიან და უთუოდ უნდა ვიქონიოთ მასთან საქმე. ჩვენ ვამბობთ დაბრკოლებას ენის მხრივ. მაშინ, როდესაც რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ცენტრალურ კომიტეტს საშუალება ეძლევა საერთო პარტიის გაზეთითახსნას ყველა საერთო კითხვები და თავის რაიონულ კომიტეტებს მიანდოს მხოლოდ ადგილობრივი კითხვების განმარტება,—ქართული გაზეთი ვარდება უხერხულ მდგომარეობაში შინაარსის მხრივ. ქართულმა გაზეთმა უნდა ითამაშოს საერთო პარტიული და მასთანავე რაიონული, ადგილობრივი ორგანოების როლი ერთს და იმავე დროს. რადგან მომეტებულ ნაწილს ქართველი მუშა მკითხველებისას არ შეუძლიან თავისუფლად ისარგებლოს რუსული გაზეთით, ქართულ გაზეთის ხელმძღვანელებს არა აქვთ ნება აუხსნელი დასტოვონ ყველა ის კითხვები, რასაც ეხება და უნდა შეეხოს რუსეთის პარტიის საერთო გაზეთი. ამ გვარად ქართული გაზეთი ვალდებულია გააცნოს მკითხველებს ყველა პრინციპიალური-ტეორეტიული და ტაქტიკური კითხვები. ამავე დროს ვალდებულია უდგეს სა-თავეში ადგილობრივ მოძრაობას და ყოველ მოვლენა-ააშკარავებდეს ჯეროვანად. არ დასტოვოს არც ერთი ფაქტი აუხსნელად და მისცეს პასუხი ყოველ კითხვაზე, რაიცა აწუხებთ ადგილობრივულ მუშებს. ქართული გაზეთი უნდა იყოს შეამავალი, შემაერთებელი ქართველ-და რუს მებრძოლ მუშებისა. გაზეთმა უნდა აცნობოს მკითხველებს ყოველი მოვლენა, რაც კი საჭარო

ნებ-მათთვის ადგილობრივ, რუსეთის და უცხოეთის ცხოვრებიდგან.

ესეთია ჩვენი შეხედულობა საზოგადოთ ქართულ-გაზეთზე. ორიოდე სიტყვაც გაზეთის შინაარს-მიმართულებაზედ.

როგორც სოციალ-დემოკრატიულ გაზეთს ჩვენ უ-და მივსცეთ მას უპირატესი ყურადღება მებრძოლ-მუშებისადმი. მეტად ვიგვაჩნია იმახედ ლაპარაკი, რომ-რუსეთშიც და საზოგადოდ ყველგან, მხოლოდ რევ-ლიუციონური პროლეტარიატი არის ისტორიიდან ამო-ჩეული როგორც განმათავისუფლებელი მთელი კაცობრიობისა და ქვეყნად ბედნიერების დამამყარებელი. ეს-დია, რომ მხოლოდ მუშათა მოძრაობას აქვს მტკიცე-ნიადაგი და მხოლოდ ის არის თავისუფალი ყოველგვარ-უტოპიურ ბდაუბდობისაგან. მაშასადამე გაზეთი, რო-გორც სოციალ-დემოკრატების ორგანო, უნდა უდგეს სა-თავეში მუშების მოძრაობას, უჩვენებდეს მას გზას. ა�d-ლებდეს მას თავიდგან ტაქტიკურ შეცდომებს; ერთ-ი-სიტყვით გაზეთის უპირველესი მოვალეობა, რომ იგი ი-ვეს რაც შეიძლება ახლოს მუშათა მასსასთან, ჰქონდეს-საშუალება მუდამ იქონიოს მაზედ გავლენა, იყვეს მი-შეგნებულ და ხელმძღვანელ ცენტრად.

მაგრამ რადგანაც რუსეთის დღევანდელ პირობებშ-შესაძლებელია მუშების გარდა საზოგადოების სხვა ელ-მენტებიც გამოდიოდნენ მებრძოლათ „თავისუფლებისა-თვის“ და რადგანაც ეს თავისუფლება უახლოესი მიზ-ნია რუსეთის მებრძოლ მუშებისათვის,—გაზეთის მოვა-ლეობაა დაუთმოს ადგილი ყოველგვარ რევოლიუციო-ნურ მოძრაობას, თუნდ იგი მუშებ გარეთაც ხდებოდეს. ჩვენ ვამბობთ: დაუთმოს ადგილი, იმ სახით კი არა, რო-გორც სხვათა შორის ცნობას და ახალ ამბავს, არა, მა-უნდა მიაქციოს საგანგებო ყურადღება იმ რევოლიუცი-ონურ მოძრაობას, რომელიც ხდება თუ მოხდება საზო-გადოების სხვა ელემენტებშიც; გაარკვიოს ყოველი სა-ზოგადოებრივი ძოლენა და ამით იქონიოს გავლენა თა-ვისუფლებისათვის ყველა მებრძოლზე. ამიტომ გაზეთი-ვალდებულია განსაკუთრებით ყურადღება მიაქციოს რუ-სეთის პოლიტიკურ მდგომარეობას, აუხსნოს ყ-ველა-ფერ შედეგი ამ პოლიტიკისა და რაც შეიძლება ფართოთ-ცნოს კითხვა პოლიტიკური ბრძოლის საპროგრამოზე.

ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, ამ ჩვენ სიტყვებს ...-რავინ გამოიყენებს იმის საბუთად, რომ ვითომ ჩვენ ...-მბრე ვიყოთ ბურჟუებთან კავშირ-კომპრომისებისა. ...-როვანი დაფასება, ჩვენება სისუსტე-შეცდომებისა არსე-ბულ წყობილების საწინააღმდეგო მოძრაობაში თუნდ-იგი ხდებოდეს ბურჟუაზიულ საზოგადოებაშიც, სოციალ-დემოკრატს ვერ ...-ეს ...-ნდა დავივიწყოთ მხოლოდ სოციალ-დემოკრატიული-პრინციპები და რევოლიუციონური საშუალება ბრძოლი-ა. თუ ჩვენ ყოველ მოძრაობას ამ არშინით დავუწყებთ-ბომას—თავისუფლნი ვიქნებით ყოველგვარ ბერშტენია-ური მიეთ-მოეთობიდან.

ამგვარად, ქართულმა სოციალ-დემოკრატიულმა გა-ზეთმა უნდა მისცეს გარკვეული პასუხი მუშების მოძრა-ობიდან გამოწვეულ ყოველ კითხვაზედ, გაურკვიოს პრინ-ციპიალური კითხვები, აუხსნას ტეორიულად მუშათა-ინტერესის როლი ბრძოლაში და მეცნიერული სოციალიზ-მის შუქით გაანათოს ყველა მოვლენა, რასაც კი ხედავ-ენ მუშა. გაზეთი ამავე დროს უნდა იყოს რუსეთის სოც-ალ-დემ. პარტიის წარმომადგენელი და თავის დროზე ა-ცნას მკითხველებს ყველა ის ტაქტიკური მოსაზრებან-, რასაც ადგია რუსეთის რევოლიუციონური სოც.-დ-ემ. პარტია. უნდა ამცნოს როგორ ცხოვრობენ მუშები სხ-ვან, რას და როგორ აკეთებენ თავის მდგომარეობის-საუმჯობესებლად, [illegible] დროზე მოიწოდოს ქართ-ველ-[illegible] ბრძოლის ველზე. ამასთანავე გაზეთი არ უნ-ფოგებდეს არც ერთ საზოგადო მოძრაობას აუნუსხავ-და სოციალ-დემოკრატიული კრიტიკით გაურჩევლად.

ესეთია ჩვენი შეხედულება ქართულ გაზეთზე. ჩვენ ვ-ჩვენ თავს და ვერც მკითხველს ვერ მოვატყუებთ თუ ეს-ანდელი ჩვენი ძალის პატრონნი დავპირდებით მას ა-შეხედულების უნაკლულოდ სისრულეში მოყვანას. გ-ზეთის ამ გვარად დაყენებისათვის საჭიროა თვით მკით-ველების და თანამგრძნობელების დახმარება. მკითხველი-ეინახავს, რომ „ბრძოლის“ პირველ ნომერს ბევრი ...-კლულევანება ანლავს. მაგრამ ნაკლულევანება ისეთ-რომელიც შეიძლება შესწორდეს, თუ იქნება დახმა-თვით მკითხველებისაგან. კერძოთ უჩვენებთ შინაგ-ირონიკის სისუსტეს. ჩვენ, მოშორებულნი სამშობლ-დან, მოკლებულნი ვართ საშვალებას ვადევნოთ თვალ-ყური საქართველოში რევოლიუციონურ მოძრაობას ...-ავის დროზე მივსცეთ ცნობები და ახსნა ამ მოძრაობ-

სა. ამიტომ საჭიროა თვით საქართველოდან დახმარება. ვისაც ექნება სურვილი ლიტერატურით დახმარებისა, ის უეჭველია, იპოვის სიშვალებასაც იქონიოს პირდაპირი თუ მაშუალით კავშირი „ბრძოლის“ რედაქციასთან.

მოვუწოდებთ ყველა ქართველ მებრძოლ სოციალ-დემოკრატებს მიიღონ ძხურვალე მონაწილეობა „ბრძოლის“ ბედიღბალში, აღმოუჩინონ ყოველ გვარი დახმარება მის გამოცემა-გავრცელებაში და ამით პირველი თავისუფალი ქართული გაზეთი „ბრძოლა“ გახადონ რევოლიუციონური ბრძოლის იარაღათ.

ვ ა რ შ ა უ ლ ი

(თარგმანი)

შავი ღურბელნი თავს გვევლებიან;
მხეცური ძალით გვიხრიან ქედსა,
მაგრამ გავშალეთ ბრძოლისთვის მკლავი
და უფრო მწარეს ველით ჩვენ ხვედრსა.
ავმართავთ მაღლა წმინდა დროშასა,
წმინდა საქმისთვის მთელის ქვეყნისა
გამოვალთ ერთად ჩვენ დასაცველად.

მაშ ძმებო, აბა გავსწიოთ წინა,
წმინდა საქმისთვის წინ, წინ და წინა!
ორჯელ

შიმშილი გვხოცავს მუშაკ მაშვრალთა
როგორ გავჩუმდეთ ძმებო ვით ვსდუმდეთ
და ემაფოტი ჩვენ ლომ გულ ტოლებს
როგორ შეაკრთობთ ვით შეაშინებთ?
წმინდა საქმეში დიად საქმისთვის
ბევრი ჩვენგანი შეიწირება,
მაგრამ სახელი მათი უკვდავი
ერს სამახსოვროდ მოეფინება.

მაშ ძმებო, აბა გავიწიოთ წინა,
წმინდა საქმისთვის წინ, წინ და წინა!

ჩვენ ვიცით ფასი ტანჯული ერის,
მტარვალთ გვირგვინი გვძაგს გვეჯავრება
და ხალხის სისხლით ნალები ტახტი
ახლა მტრის სისხლით შეიღებება.
სიკვდილი მტარვალთ, სიკვდილი ჩვენ მტერთ
პლუტოკრატთ წურბელთ მაშვრალთა სისხლის
ახლოა წუთი გამარჯვებისა,
და განთიადიც უკვე ამოდის.

მაშ ძმებო, აბა გავსწიოთ წინა,
წმინდა საქმისთვის წინ, წინ და წინა!

პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი ბ რ ძ ო ლ ა

I თეითმპყრობელობა.

მუშათა მოძრაობა როგორც ყველგან, ისე ჩვენშიც, არ არის საგანგებოთ, ხელოვნურად გამოწვეული. ის არ არის იდეოლოგების და დემაგოგების შექმნილი, ის არ არის ნაყოფი წამქეზებელის მეცადინეობისა. მუშათა მოძრაობა ღვიძლი შვილია ისტორიული მსვლელობის, ის არის ისტორიული მოვლენა და როგორც ესეთი, აქვს თავის ბუნებრივი, დასაბუთებული კანონები. მუშათა მოძრაობას ვერ შევაჩერებთ, მას ვერ მოვსპობთ როგორც ისტორიულ მოვლენას. მისი შეჩერება ნიშნავს ისტორიის აბდაუბდობას და ეს კი ყველაზედ ძნელი წარმოსადგენია თვით გიჟურ ფანტაზიისაგანაც. ის შეჩერდება და მოისპობა, როდესაც ქვეყნად აღარ იქნება ადამიანთა კლასსებათ დაყოფა, აღარ იქნება კლასობრიული უთანხმოებანი. მანამ კი, სანამ არსებობენ კლასსი შეძლებულთა და კლასსი შეუძლებელთა, კლასსი მჩაგვრელთა და კლასსი ჩაგრულთა, იქნება კლასთა ბრძოლაც, მუშათა მოძრაობაც.

მუშათა მოძრაობა ისტორიულად რევოლიუციონური მოძრაობაა. იგი აპირებს საზოგადოებრივ წყობილების ძირეულად გარდაქმნას, ადამიანთა შორის დამოკიდებულების შეცვლას, და ეს გარდაქმნა, ეს შეცვლა არ შეიძლება წარმოვიდგინოთ მშვიდობიანათ, ნებაყოფლობით, ნაბიჯობით, ან როგორც ზოგიერთი რძე ნაწყენი მარქსისტები იძახიან, რეფორმების და კულტურული ევოლიუციის გზით. დიახ, მუშათა მოძრაობა რევოლიუციონური მოძრაობაა და მის ავანგარდს, მოწინავე რაზმს, შეადგენს სოციალ-დემოკრატიული პარტია.

მსოფლიო სოციალ-დემოკრატიამ სისრულეში მოიყვანა ჩვენი მასწავლებლების კ. მარქსის და ფ. ენგელსის ანდერძი: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!“ დღეს აღარ იპოვება არც ერთი თუნდ ოდნავ კულტურული ქვეყანა, სადაც რევოლიუციონურ სოციალ-დემოკრატიას არ დაემჩნიოს თავისი მოქმედების დაღი. მსოფლიო დემოკრატიას ხმა მისცა ჩვენმა ქართველმა მუშამაც თავის რუს ამხანაგებთან ერთად. ამ რამდენიმე წლის განმავლობაში სოციალ-დემოკრატიულმა აზრებმა იწყეს ამოსვლა უხვ და ნაყოფიერ ნიადაგზე ჩვენ ქართველ მუშებში. რამდენიმე წელიწადია ქართველმა მუშამაც გამოაცხადა უშიშარი ბრძოლა და ამ ბრძოლის ზრდას, გამწვავებას გვარწმუნებს ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება.

მაშ ჩვენშიაც მუშათა მოძრაობა, სოციალ-დემოკრატიული ბრძოლა უკვე არსებული ფაქტია; ამას აღარ ეჭირვება დამტკიცება, განმარტება. ეხლა ჩვენი საქმე ის არის, რომ ეს ბრძოლა წავიყვანოთ სასურველათ, ჩვენთვის ეხლა საჭიროა გავითვალისწინოთ ბრძოლის უმთავრესი მომენტები, შედგენილი გვქონდეს ბრძოლის გეგმა, რომ ამითი ყოველ წინააღმდეგობას მომზადებული დავხვდეთ, ავიცილოთ თავიდამ ყოველი მოსალოდნელი შეცდომა და თითოეული ჩვენი ნაბიჯი მტერთან ბრძოლაში იყოს უცადი და ნაყოფიერი.

ყველაზე პირველათ გავიხსენოთ რას მიელტვიან სოციალდემოკრატები, რა შეადგენს მათ იდეალს.

დამყარება ქვეყნად სოციალისტური წყობილებისა, ე. ი. იმ წყობილების, რომელშიც ყველა იარაღი წარმოებისა: ფაბრიკები, მაშინები, მიწა და სხვ. გადაელენ კერძო საკუთრებიდან საზოგადო საკუთრებად, რომელშიც სრულიად მოისპობა დაქირავებული შრომა, ყოველ გვარი უპირატესობა-შეღავათი და უთანასწორობა ადამიანთ შორის, ფუფუნება ერთთა და სიღარიბე მეორეთა. რომელშიაც ადამიანის პიროვნებას პირველად მიეცემა სრული თავისუფლება განვითარდეს თავის ბუნებრივ ნიჭის დაგვარად, რომელშიც დამყარდება საყოველთაო ბედნიერება. ესეთი წყობილება შეადგენს სოციალდემოკრატების იდეალს, ეს არის მათი გზის მაჩვენებელი და ამითი არჩევენ დღევანდელი წეს-წყობილების უწესოებას და უთანხმოებას.

ყოველ დღიური ბრძოლით მუშების ეკონომიური მდგომარეობის და შრომის პირობების გაუმჯობესება, ყოველ დღიური ბრძოლით სამუშაო დროს შემოკლება, სამუშაო ქირის მომატება, შრომის ჰიგიენურად მოწყობა, ადამიანურად მოპყრობა და სხვ. უმახლობელესი მიზანია სოც. დემოკრატებისა. ესეთი ნაწილ-ნაწილი გაუმჯობესება ყოველ-დღიური ბრძოლით არის მათი საშუალება მიზნის მისაღწევად და მასთან საბრძოლველი შკოლა სოციალურ რევოლიუციისათვის.

მაგრამ, როდესაც ჩვენ დასავლეთ ევროპიელ ამხანაგებს შეუძლიანთ თავიანთი იდეალი, საბოლოო მიზანი დაიყენონ ახლო მომავალში, რუსეთელ სოციალდემოკრატებს არ შეუძლიანთ ეგევე. როდესაც ევროპიელ მუშას უკვე ხელში აქვს მოპოვებული ყოველ-გვარი იარაღი ბრძოლისა, რუსეთის და მასთან საქართველოს მუშას ეს იარაღიც დღეს ბრძოლით მოსაპოვებელი აქვს. მაშასადამე, რუსეთის და ჩვენი მუშისათვის სოციალდემოკრატიის საბოლოო მიზანი დგება შორეულ მომა-

ვლისათვის, რადგან ახლო მომავალში ჩვენ სხვა მიზანი გვაქვს—მოპოება ბრძოლის იარაღისა.

მეტია, რასაკვირველია, ლაპარაკი და მტკიცება,—რომ თუ არა გვაქვს იარაღი, არ შეგვეძლება ბრძოლა, მაშინ ყოველი ჩვენი მეცადინეობა უნაყოფოდ ჩაივლის. ეს ჭეშმარიტება ყველაზედ მომეტებულად ჩვენ ქართველ მუშებისათვის უფრო აშკარაა.

ყოველი ჩვენი თავისუფალი მოქმედება ხაზეინების წინააღმდეგ ჩვენი ეკონომიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, გვარწმუნებს, რომ მარტო ხაზეინების, კაპიტალისტების კლასთან არა გვაქვს საქმე. აქ მთელი თავისი ძალით წინ გვეღობება თვითმპყრობელი მართველობა, რომელიც ჩვენ საწინააღმდეგოდ არა ზოგავს არაეითარ საზიზღარ შემაძრწუნებელ საშუალებებს, მაშინაც კი, როდესაც მასთან, უცხო თვალით რო შევხედოთ, არავითარი დამოკიდებულება აქვს მუშების ამა თუ იმ მოქმედებას. გავიხსენოთ ჩვენი გაფიცვები ხაზეინების მხეცურ მოქმედების წინააღმდეგ და ნათქვამში ადვილად დავრწმუნდებით. გავიხსენოთ, რა როლი ითამაშა თვითმპყრობელმა მართველობამ 1900 წლის რკინის გზის მუშების გაფიცვაში, როდესაც მან 1000 მუშა ლოგინებიდგან მოიტაცა და ციხეში ჩაყარა, თუმცა მათ ოდნავადაც არ დაურღვევიათ „კანონიერი“ საზოგადო მშვიდობა, არაფრით გამოუხატიათ ძალდატანება, თუ არ ვიანგარიშებთ ძალდატანებათ იმას, რომ 3000 მუშამ გამოუცხადა თავისს სისხლის მწოველებს, რომ მათაც, როგორც ადამიანებს, უფლება აქვთ ადამიანური ცხოვრებისათვის. მოვიგონოთ. მაგრამ დარწმუნებული ვართ, თვითოეულ მკითხველს თვალ-წინ ექნება ურიცხვი ფაქტი იმ ძალდატანებისა, თვითნებობისა და ავაზაკობისა, რასაც რუსეთის თვითმპყრობელობა არა ზოგავს თავისს ქვეშევრდომებისათვის.

ცხადია, თვითმპყრობელობა როგორც ძალა რეაქციონული, როგორც დამცველი კაპიტალისტთა ინტერესებისა და როგორც მოწინააღმდეგე თავისუფლებისთვის ყოველ გვარი მოძრაობისა აშკარა მტერია მუშათა რევოლიუციონურ მოძრაობისა. მაშასადამე, მებრძოლ მუშის მიზანი უნდა იყოს, რაც შეიძლება მალე ჩამოიცილოს კისრიდან მძიმე უღელი დესპოტიზმისა, რომ თავისუფლად შეეძლოს ბრძოლა თავის საბოლოო მიზნისათვის.

გავირკვიოთ რა არის თვითმპყრობელობა რუსეთში. რუსეთის თვითმპყრობელობის წარმომადგენლად ითვლება ხემწიფე, რომელიც თავისუფალია ყოველ თავის მოქმედებაში. მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა თუ რომ მარტო ხემწიფეს მოვახვევდით თავზედ ყველა იმ თავგასულობას თვითნებობას და ძალდატანებას, რასაც იჩენს მთელი სისტემა რუსეთის მართველობისა მცხოვრებლებზე. თვითმპყრობელების ნამდვილ წარმომადგენლებათ გამოდიან ჩვენი მინისტრები, რომლებიც ფაქტიურად თავისუფალნი არიან თვის მოქმედებაში ხემწიფის კანტროლისაგან და ამავე დროს არავითარი გავლენა, და მით უფრო კანტროლი, არა აქვთ თვით საზოგადოებიდან. მათ ხელშია კანონმდებლობა ქვეყნისა და ასრულება კანონებისა. აი ამ უფლების ძალით (კანონმდებლობის და აღმასრულებლობის) ჩვენი მინისტრები გამოდიან ნამდვილი, ფაქტიურ თვითმპყრობელებათ ქვეყნისა. მთელი ის ხროვა ჩინოვნიკებისა, რომლებიც კიბის საფეხურებივით ერთი მეორეს ექვემდებარებიან, როგორც საერო ისე სამხედრონი, პოლიციელნი და სასულიერონი მინისტრების კომიტეტის სრულს განკარგულებაში არიან. ამ კომიტეტსა ჰყავს აუარებელი რიცხვი მსახურებისა ყოველ საზოგადოებრივ და და სახემწიფო დაწესებულებაში. უმთავრესი პირობა სახემწიფო და საზოგადო სამსახურისა არის ბრმათ დამორჩილება მინისტრების კომიტეტისადმი. ინტერესები მინისტრებისა და საზოგადოებისა არაფრით არ ეთანხმებიან ერთმანეთს. მათ აქვთ თავის საკუთარი ბიუროკრატიული ინტერესები, მათ ხელშია ცენტრალური მართველობა და სახემწიფო უფლება. მათ სრულს განკარგულებაშია სახემწიფო შკოლა და ამავე დროს ყოველმხრივ შევიწროებულია საზოგადოების შკოლა, მათ სრულ განკარგულებაშია მართველობის სამართალი და ამავე დროს ყოველმხრივ ავიწროებენ საზოგადოების სასამართლოებს, მათ სრულს განკარგულებაშია ქალაქის, სოფლის და საერო მართველობა.—მათ ხელშია ურიცხვი ჯარი, პოლიცია, ჟანდარმები, ჯაშუშები.., და ამ ძალის მქონე მინისტრები და მათი მორჩილი ჩინოვნიკები წარმოადგენენ საზოგადოების მოწინააღმდეგე კერძო, ცალკე კლასს რომელთაც მინიჭებული აქვთ უფლება პასუხის უგებელად გაძარცონ ტყავი საზოგადოებას. თვით ნებობა ამ მინისტრ ჩინოვნიკებისა, თვით ნებობა ბიუროკრატიისა—არის რუსეთის თვითმპყრობელობა.

რუსეთის თვითმპყრობელობას მაშასადამე, ჰყავს ესეთი ძლიერი ადმინისტრატიული ძალა, მიმართული საზოგადოების საწინააღმდეგოდ. რუსეთის ბიუროკრატია და რუსეთის მცხოვრებელი ერთმანეთის მოწინააღმდეგენი ერთმანეთის მტრები არიან.

თვითმპყრობელ ბიუროკრატიას არ ექნებოდა ეგეთი ძალა, როგორსაც იჩენს ეხლა იგი საზოგადოების საწინააღმდეგოდ, თუ მას, ბიუროკრატიას, არა ჰქონდეს ეკონომიური ძალაც. ასეც არის. რუსეთის თვითმპყრობელობა დამყარებულია მეტად ძლიერსა და დიდ ეკონომიურს ძალაზე. სახემწიფო გადასახადები პირდაპირი და ფარული, ბანკები, ფოშტა, ტელეგრაფი, მართველობის რკინის გზები, გემები, ოქრო-ვერცხლისა და სხვა მადნები, მინერალური წყლები, ფულის მოჭრა, სამხედრო იარაღის და მასალის წარმოება, წარმოება და ვაჭრობა არაყით, სახემწიფო მამულები: მიწები, ტყეები, დ[illegible]თები და სხვ. და სხვ. ყველა ეს სიმდიდრე რუსეთის ბიუროკრატიის სრულს განკარგულებაშია. ერთი მხრით ეს ეკონომიური ძალა და მეორე მხრით ამაზედ დამყარებული პირადი ადმინისტრატიული ძალა რუსეთის თვითმპყრობელობისა გამოდის დაუძინებელ მტრად ყოველი საზოგადოებრივი თვითმოქმედებისა.

დამარცხება ამ პირადი ძალისა და ხელში ჩაგდება სახემწიფო ეკონომიური სიმდიდრისა უნდა შეადგენდეს უახლოებელეს მიზანს ყოველი რევოლიუციონური მოძრაობისა. ჩვენ განგებ ვამბობთ „ყოველი“ რევოლიუციონური მოძრაობისა, იმიტომ რომ დღეს თვითმპყრობელი მართველობა გამოდის მტრად არა მარტო მუშებისა, ის დაუძინებელი მოსისხლეა მთელი რუსეთის საზოგადოებისა, თუ ამ საზოგადოების ცხოვრებას ეტყობა საზრიანობა და თვითმოქმედება. თავის მძიმე თათით თვითმპყრობელობა აწვება და სჭყლიტავს ყველაფერს, რასაც კი სიცოცხლის ნიშანწყალი ეტყობა, ცდილობს ყველა გარდაჰქმნას თავის ყურ-მოჭრილ მონად. თავის საზიზღარ არსებობის შესანახავად ის ხდება საშინელ დაუზოგავ მხეცად, მისი ხელი აღჭურვილი კნუტით და თოფით არა დრკება და თავგასულად უხუთავს სიცოცხლეს ყველაფერს თავისუფალს, მას სურს ყველაფერი შესწიროს თავის არსებობას. დეე ამოწყდენ შიმშილით გლეხები, დეე ათას გვარმა სნეულებამ, რომელიც დეგია გონებრივი სიბნელის და სიბინძურისა, მუსრი გაავლოს ხალხს, მათთვის საჭირო არ არის განათლება, წიგნები და საზოგადოების დახმარება, დეე ჟანდარმების, შპიონების და პოლიციელების შესანახავად მშიერ ხალხს წაერთვას უკანასკნელი ლუკმა, დეე ქალაქის, სოფლის და ერობის თვითმოქმედება თავისუფალი იყოს მხოლოდ ჩინოვნიკების სათარეშოდ და საყვლეფად, დეე გადასახლდენ ათასობით ხალხი, შევიწროებულნი მისი დევნისგან, დეე საუკეთესო მამულიშვილებმა თავი შეაკლან ციხის ქვის კედლებს და ციმბირის გაყინულ მიწას,—ყველა ეს არაფერია თვითმპყრობელობისათვის, ოღონდ მას შერჩეს ხალხის სისხლით შეღებილი ტახტი და [illegible]ლება, ოღონდ ნუ გამოეცლება მას ხელიდგან კნუტი და თოფი... ის გაცოფებული სდევნის ყველას, არ დაერიდება სტუდენტების სალდათებად გაგზავნას, უნივერსიტეტების დაკეტვას, ჟურნალ-გაზეთების აკრძალვას, საუკეთესო პროფესორების დატუსაღებას, საყვარელ მწ

რლების გაძევებას, არ მოერიდება ქუჩაზე ამოხოცოს უდანაშაულო ხალხი, როგორც ეს ქნა 4 მარტს პეტერბურგში და 22 აპრილს თბილისში, არ დაერიდება უთვალავ ციხეების მუშა ხალხით გავსებას, ყველაფერს იზამს და არ დახოგავს არც მუშას, არც ბურჟუაზიას და რაც დანარჩენ ელემენტებს.

ჩვენ ხელთა გვაქვს შესანიშნავი საიდუმლო დოკუმენტი გამოქვეყნებული რუსეთელ ამხანაგებისაგან. ჩვენ ვამბობ ფინანსთა მინისტრის სტატსეკრეტარის, ვიტტეს წერილზე, სადაც ეს გაიძეერა, ფლიდი და მასთან ყველა მინისტრებზე ჭკვიანი არამზადა ცინიკურად, გულ ახდილ მაგრამ ლოიკურად ამტკიცებს შეუფერებლობას რუსეთის თვითმპყრობელობის საზოგადოების თუნდ ოდნავ თვით მოქმედებასთან, თუნდაც ეს თვით მოქმედებასრულებით არ ეხებოდეს პოლიტიკას. (იხ. „Самодержавіе и Земство“ зап. С. Витте, изд. „Зари“)

საზოგადოების აზრი, საზოგადოების მოთხოვნილება თვითმპყრობელობისათვის, არ არსებობს, თვითმპყრობელობა არის საზოგადოების აზრიც და მოთხოვნილებაც. აი როგორ გვისურათებს თვითმპყრობელობას „მოსკოვის უწყებანი“, ეს შავი ყორანი რუსეთის აზროვნობისა: „...თვითმპყრობელი მართველი უნდა განაგებდეს თავის აზრით და ნებით; უნდა აკეთებდეს მხოლოდ მას რასაც თითონ ხედავს საჭიროდ, მიუხედავათ იმისა, თხოულობენ ამას თუ არა მმართველობის გარეშე მდგომი პოლიტიკანები თუ რომ ხალხი მართველობის აზრით საჭიროებს ამა თუ იმ დაკმაყოფილებას, ამ საჭიროებათა დაკმაყოფილება უნდა მოახდინოს გაცილებით ადრე სანამ მას წარუდგენენ რაიმე მოთხოვნილებას, ამ გზით მისი საქმეები არ იქნებოდა დათმობა. მისი მხრით დათმობა უშველებელი შეცდომა იქნებოდა. თუნდ ქუჩის მოთხოვნილება (требованіе улицы) საბუთიანიც იყოს, იმიტომ რომ თუ ის აკმაყოფილებს ქუჩის ხმას, ქუჩა უნდა იყოს მართველობათაც“. (იხ. „МОСК. ВѢД.“ 12 [illegible] 1901 წ.) [illegible] მართველობის გარეშე [illegible] მდგომ რუსეთის საზოგადოება ყოველ თავის გასაჭირზე უნდა კლიტე პირზე დადებული შეჰყურებედეს თვითმპყრობელობას და გულგრილად უნდა იტანდეს ყოველგვარ შევწროებას, ხალხის სწავლის შემცირებას, თვითმოქმედების, ბეჭდვითი სიტყვის აკძალვას, სამართალის გაუმართლოებას და სხვ. და სხვ.

ესეთია ნამდვილი შეხედულება თვითმპყრობელობაზე

თვითმპყრობელობის ფიზიკური და ეკონომიური ძლიერი ძალა, შესაძლებელია, ბევრი ეჩვენოს დაუძლეველად, და რადგანაც იგი არ ერიდება არავითარ საზიზღარ საშუალებას ყოველგვარი პროტესტის ჩასაქრობათ ბევრი ძალიან სკეპტიკურათ, უნდობლად უყურებს მასთან ბრძოლის ნაყოფიერობას. მაგრამ ვიფიქროთ დი დარწმუნებული ვიყოთ, რომ თვითმპყრობელობა უძლეველი ძალაა და ის დარჩება სამუდამო ბატონათ მცხოვრებლებისა დიდი შეცდომა იქნებოდა. ეს ეწინააღმდეგება სხვა ქვეყნების გამოცდილებას, ეწინააღმდეგება ისტორიას, ეწინააღმდეგება თვით რუსეთის ისტორიულ განვითარებას. ბუნებაში ყველა მიმდინარეა, ცვალებადია, ირღვევა ერთი წყობილება და მყარდება მეორე. დაიღუპება თვით მპყრობელობაც. მაგრამ დაიღუპება არა თავის თავად, თავის უძლურობისაგან ან ბუნებრივი განვითარებისაგან—თვითმპყრობელობა დაიღუწება, უნდა დაიღუწოს რევოლიუციონური იერიშით, ოპოზიციების ძალადატანებით.

მაგრამ ვიკითხოთ, რომელ კლასს შეუძლიან შეეტაკოს ამ ძლიერ ზეცერს, ვინ იქნება რევოლიუციონურ ბრძოლა ძალიანად? საკმარისია გადავავლოთ თვალი რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებას, მის სხვა-და-სხვა კლასების ერთმანეთის დამოკიდებულობას რომ დავარწმუნდეთ: რუსეთში უმთავრეს ძალას წარმოადგენს შეერთებული ძალა რევოლიუციონური პროლეტარიატისა. ბურჟუაზია დამყარებული თავის უძირო ჯიბეზე მშვენიერადა გრძნობს თავის თავს თვითმპყრობელობის კვერთხის ქვეშ, თავად-აზნაურობა, ეს გაღატაკებული და გაბრწყინული კლასი საზოგადოებისა მხოლოდ თვითმპყრობელობით ელის აღდგენას, სამღვდელოება ერთად-ერთი უმთავრესი ბურჯი გონებრივი სიბნელისა და ცრუმორწმუნეობისა ერთ უმთავრეს მცველთაგანია თვითმპყრობელობისა, გლეხკაცობა გაჭირვებული და გაღატაკებული სახემწიფო გადასახადებისაგან, უმიწობისაგან და შიმშილისაგან არ წარმოადგენს არავითარ აქტიურ ძალას. მაზედ შეიძლება ვიქონიოთ იმედი მხოლოდ რევოლიუციის მომენტში. საზოგადოება, როგორც მიღებულია ამ სახელით ვუწოდოთ ხოლმე ერეულ ბრბოს, საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს ცხერის ფარას, საზოგადოება, რომელსაც შეუძლიან მხოლოდ გულ გრილად უყუროს იმ უწესრიგობათ, იმ შემაძრწუნებელ ძალადატანებას რასაც ყოველ დღე იჩენს თვითმპყრობელობა, საზოგადოება, რომელსაც შეუძლიან მხოლოდ მონურის მოთმინებით გაჩუმული იყოს და კანკალებდეს, საზოგადოება, რომლისთვისაც საკმარისი იყო ორი სიტყვა დაპირებისა, რომელიც გამოაცხადა იმპერატორმა ვანოვსკის მინისტრად დანიშვნაზე, რომ გაჩუმებულიყო და შერიგებოდა იმ უწესიგობათ, რაიცა მიაყენა თვითმპყრობელობამ მათ შვილებს სტუდენტებს, საზოგადოება, რომელსაც შეუძლიან იყვიროს „ურა“! ამ საზოგადოებამ, ნაკლები იმედია, რომ გამოიჩინოს რაიმე მამულიშვილური გრძნობა და ახლო მომავალში გადავიდეს ხალოპურ მორჩილებიდან რევოლიუციონურ პროტესტისაკენ.

პროლეტარიატი—აი ის მედგარი ძალა. რომელმაც უნდა დალეწოს თვითმპყრობელობა, სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ უნდა გამოუცხადოს სასიკვდილო ბრძოლა თვითმპყრობელობას, სოციალ-დემოკრატია, დამყარებული იმ საზოგადოებრივ დანარჩენ ელემენტებზედ, რომელთაც ჭულეტაეს ამსოლიუტიზმი, დამყარებული მათ პირდაპირსა თუ გარეშე დასმარებაზე მიიტანს იერიშს და მაგარი კედელი რუსეთის დესპოტიზმისა დაინგრევა საძირკვლიანად.

პოლიტიკური თავისუფლება და მამულიშვილის უფლებანი—აი ანდერძი მეცხრამეტე საუკუნისა და ეს ანდერძი უნდა მოვიყვანოთ სისრულეში ჩვენ სოციალ-დემოკრატებმა.

ხრონიკა

თბილისი არას დროს არ მოსწრებია იმ გვარ მოძრაობას, როგორც წრევანდელს. ჯერ არ გათავებულიყო შარშანდელი შესანიშნავი გაფიცვა რკინის გზის მუშებისა, რომ ახალი გაფიცვები ერთი მეორეს მოჰყვა. მუშების მოძრაობამ უმაღლეს წერტილამდე მიაღწია და ოცდაორ აპრილს მოქმედება ქუჩაზე გადმოვიდა.

ჩვენზედ „მზრუნველ“ მთავრობას, რასაკვირველია, არ ეეშნიკა საქართველოში მუშების მოძრაობა და მიიღო ყოველი საზიზღარი საშუალება, ჩაეჭრო ყოველი თავისუფალი მოქმედება და თვითცნობიერება მუშებში. თბილისის ციხეები გაავსო დატყვევებულ მტრებით, მეტეხის ციხეში შეუდგა ახალი შენობის მომატებას პოლიტიკური ტუსაღებისათვის. „თბილისში მუშათა მოძრაობა იზრდება დღითი დღე“ ატყობინებდენ დამფთხალი ა[illegible]ბილობრივი ჟანდარმები პეტერბურგის სამინისტროს [illegible] იქიდან იგზავნებოდა პარტია-პარტაობით ახალი, გა[illegible]ცდილი ჯაშუშები, თბილისის სახელოსნოები გაავსეს [illegible]ეშუშა პროვაკატორებით. ყოველ დღეს თბილისი ეგებებ[illegible]ოდა ახალი დატუსაღებით, მაგრამ ყოველი ეს მუშებზე [illegible]ქმედებდა სულ წინააღმდეგი მხრით. იქ, სადაც კი ყველაზე ნაკლებათ მოსალოდნელი იყო ძუშების ძმური, [illegible]ერთებული მოქმედება, გასაოცებელ ბრძოლას ეხედ[illegible]ით. ებანოების „მექისეები“ უცხადებენ ბრძოლას თა[illegible]ის სისხლის მწოველ ხაზეინებს და მიუხედავათ პოლი[illegible]ის ყოველგვარი წინააღმდეგობისა შესანიშნავათ იმარ[illegible]ებენ. თბილისის ყოველი ქუჩის კუთხეზე გამოჭიმუ[illegible]ია ჟანდარმების შპიონი, თითოეულ მუშას კუდიკით

დასდევს პროვაკატორი, მაგრამ მუშები მაინც ახერხებენ საერთო ყრილობებს და თავისს საქმეზე სჯა-ბაასს. ერთ ამგვარ კრებაზე ტრახტირში მუშებს შეჰყვა ტანისამოს გამოცვლილი „ოკოლოდოჩნი-ნადზირატელი“. მისმა კადნიერებამ და სიმხეცემ მოთმინებიდან გამოიყვანა მუშები და როდესაც ეს არამზადა მიდიოდა ღვინის სტაქნით ხელში მუშებისაკენ, ერთმა მუშამ გადააყლაპა რევოლვერის ცხელი ტყვია. არეულობაში მუშამ მოასწრო თავის დამალვა და პოლიციელი კინტო წაასვენეს საავადმყოფოში. ახლოვდებოდა მაისი (18 აპრილი) ეს მუშების „აღდგომა“ და ჟანდარმებს ეკარგებოდათ ძილი. მათ ლანდივით უკან დასდევდა შარშანდელი მაისობა, რომელიც პოლიციას თვალსა და თვალშუა გამორჩა და ერთი საქმეც ვერ „შეაყენა“. მარტიდან შეუდგენ დატუსაღებას. იჭერდენ ყველას ვინც-კი მოხვდებოდათ ხელში განურჩევლად: აქვს რამე დამოკიდებულება თუ არა მოძრაობასთან. რადგანაც თბილის. კომიტეტი პროკლამაციებით მოსვენებას არ აძლევდა ჟანდარმებს, უკანასკნელნი გამხეცებით დაეცნენ განსაკუთრებით სტამბის მუშებს დარწმუნებულნი რომ პროკლამ. სტამბებში იბეჭდებაო. არ დაურჩა უყურადღებოთ თბილისის ინტელიგენციაც. აღდგომის წინა კვირეში ერთ საღამოს მოხვეტა 30-დე ინტელიგენტი ქართველები და რუსები. იმავე ღამეს გაჩხრიკეს გაზ. ,,კვალის'' რედაქცია და რადგან შიგ ვერა იპოვეს რა დაატუსაღეს იქ მომუშავე სილიბისტრო ჯიბლაძე, რომელიც რედაქციაში ცხოვრობდა. გაჩხრიკეს მერვე კლასის გიმნაზისტები და რამდენიმე მათგანი დაატუსაღეს. ერთმა დატუსაღებულმა გიმნაზისტმა სტანისლავ სარპოვსკიმ შეშინებულმა დაუსახელა ჟანდარმებს ის პირი, ვინც აძლევდა მას წიგნებს საკითხავად. 17—18 აპრილს თბილისი სამხედრო ლაგერად გადაიქცა. დაიწყო ჯარების მოძრაობა ქუჩებზე და მოედნებზე. სალდათებს დაურიგეს თექვსმეტ-თექვსეტი პატრონა და ემზადებოდენ სამკვდრო-სასიცოცხლო ომს გაღვიძებულ მუშებთან. ამავე დღეებში დარიგდა თბილისში ქართულსა და რუსულს ენებზე პროკლამაციები, რომლებიც იწვევდენ მუშებს გადაეხადათ თავიანთი უქმე 1 მაისობა 22 აპრილისათვის.

20 აპრილს მთავარმართებელი გოლიცინი თბილისიდან გაიქცა განჯაში. მთელი თბილისი აირია. ყოველ ფეხის ნაბიჯზე გხვდებოდათ სალდათი და ყაზახი. მართველობას უნდოდა შტიკების ხმით ჩაეხრჩო თავისუფალი ხმა გაღვიძებული მუშებისა მაგრამ .. ყოველ წინააღმდეგობა სძლია თავისუფლების სიყვარულმა, სძლია ძალმომრეობას და თბილისის მუშებმა ქუჩაზედ გადაიხადეს თავისი უქმე მაისობა. ჩვენ არ შევუდგებით უქმის აღწერას. ეს ყველასათვის უკვე ცნობილია. ზოგიერთ კითხვებზე რომლებიც წამოგვიყენა 22 აპრილმა მოვილაპარაკებთ შემდეგში *)

მეხივით დაეცა მთავრობას 22 აპრილი. მან მიმართა ყოველ ავაზაკურ ღონეს რომ მოესპო თბილისში მუშათა მოძრაობა, მაგრამ შემდეგმა დაგვარწმუნა, რომ თბილისელ მუშებს არ ეშინიანთ ციხისა და პოლიცია ჟანდარმების სვრემისა. ზედი ზედ მოყოლებულმა გაფიცვებმა დაუმტკიცეს ყველას, რომ მუშათა მოძრაობას ვერ მოსპობს ვერავითარი უკუღმართი ძალა, სანამ თვითონ მუშები არ მოსპობენ ამ წინააღმდეგობას... გზა დაკარგული მთავრობა 29 ივნისით აცხადებს თბილისის და ბაქოს გუბერნიებში გაძლიერებული დაცვის (усиленная охрана) შემოღებას 4 სექტემბრიდანეს. «დაცვა" ნიშნავს იმას, რომ ამიერიდან ხსენებულ ადგილებში ისპობა ყოველი კანონი იურიდიულათ და ფაქტიურად ყველა მცხოვრებზე გამეფებულია პოლიციის თვითნებობა და საკმარისია მხოლოდ ჯაშუშის ეჭვი, რომ გადასახლებული იყო სხვა გუბერნიაში. ჟანდარმების თავგასულობას ემატება პოლიციის ბატონობაც. მაგრამ ჩვენ გვიკვირს რატო პატარა ადრე არ შემოიღო მთავრობა ეს საუცხოვო გამოგონება მუშების მოძრაობის მოსასპობათ! ხომ მოსპო გაძლიერებული დაცვით მუშების მოძრაობა პეტერბურგში და სახემწიფოს თითქმის ყველა ადგილებში!?.

*) უადგილობისა გამო წერილი „ოცდა ორი აპრილი თბილისში“ ვერ იბეჭდება ამ ნომერში.

გაფიცვები. მეხანიკურ ზავოდებში ზედი ზედ მოჰყვა გაფიცვები. მოხდა გაფიცვა კოტრინის ზავოდში სადაც თხოულობდენ ჯამაგირის დროზე დარიგებას და შეგირდების მდგომარეობის გაუმჯობესობას. გაფიცვამ რამდენიმე დღე გასტანა და გათავდა მუშების გამარჯვებით.

— რუქსის, იარალოვის და გაუფის ზავოდების გაფიცვამ დაგვანახვა რომ მუშა იბრძვის არამც თუ პირდაპირ თავის მდგომარეობის გაუმჯობესებაზედ — სხვის გულისთვისაც კი თუნდ ეს სხვები პატარა ბავშვებიც იყვნენ. რუქსის ზავოდში მოხდა ორჯელ და ორჯელვე გამარჯვებით გათავდა. თხოულობდნენ სამუშაო დღის შემოკლებას, დათხოვილი ამხანაგების მიღებას, შეგირდებისთვის ფასის მომატებას, ჯამაგირის დროზე დარიგებას და სხვა. ამავეს თხოულობდენ იარალოვის და გაუფის ზავოდებში. გაფიცვა რამდენიმე კვირას გრძელდებოდა. იარალოვის ზავოდში გაფიცვა წააგეს მუშებმა პოლიცია ჟანდარმების და შეუგნებელი ამხანაგების წყალობით. დანარჩენ ზავოდებში მოიგეს. გაფიცვას ხელმძღვანელობდა თბ. კომიტეტი. დარიგდა პროკლამაციები.

— ბოზარჯიანის ფაბრიკაში 1900 წ. მკათათვეს. გაიფიცა 100 მუშა. გაფიცვის მიზეზი ორი დათხოვნილი მუშა ამხანაგების მიუღებლობა იყო. გაფიცვა გაგძელდა ხუთ კვირას. მოითხოვეს შემდეგი დათხოვნილი ამხანაგების მიღება, ხელფასის მომატება 15 პროცენტზედ, შტრაფების მოსპობა, ლანძღვა ცემა მუშებისა, მარკების მაგ ერ ფულის დარიგება (მარკებს აძლევენ პურის ფულში რომლითაც მხოლოდ ფაბრიკის „ხარჩენიაში“ შეეძლოთ მისი ხარჯვა). ყველა ამ მოთხოვნაზედ ფაბრიკანტს ხელი მოაწერინეს და ხელმოწერილი თვით მუშებს [illegible]

-- ბუტულოვის ფაბრიკა. 1901 წ. 1000 პაპიროზედ დაგვიკლო ორი შაური. რის გამოც მოხდა გაფიცვა. დადგა ერთი პაპიროსის გასაკეთებელი მაშინა და ამისა გამო დავრჩით სამუდამოთ გაფიცულნი. გაფიცვამდე ვმუშაობდით პაპიროსის გასაკეთებლათ 15 მუშა.

— საფაროვის ფაბრიკაში შვიდი კვირის გაფიცვით ხელფასი მოამატებინეს.

— მირის ფაბრიკაში მომუშავეთა გაფიცვა დაიწყო დაახლოვებით ამ წლის თებერვალში. მიზეზი გაფიცვისა იყო მათი ამხანაგის დათხოვნა და ფასის მომატება. გაფიცვა იყო მომხდარი მუშტუკის დამკვრელებისაგან. გაფიცვა დამთავრდა მუშათა გამარჯვებით,.

— 1900 წ. 8 აგვისტოს ჩითახოვის ჩითის საქსოვ ფაბრიკაში მოითხოვეს ფაბრიკის შეკეთებისთვის გაჩერების დროს ნახევარი ჯამაგირი და კიდეც მიიღეს. იქვე 1900 წ. 15 ოკტომბერს, დაიწყო ძაფის ამომსხმელთა გაფიცვა; თხოულობდენ ჯამაგირების მომატებას, რაც კიდეც მიიღეს. რამდენიმე დღის შემდეგ ამ გაფიცვისა მონაცემი ისევ წაართვეს. მიზეზი გაფიცვის მუშათა სახარალოდ დამთავრებისა იყო მუშათა შეუერთება ცალკალკეობაში. იქვე იმავე წელს ნოემბერში ძაფზედ მომუშავეთა გაფიცვა დაიწყო. თხოულობდენ ხელფასის გაადიდებას. მაგრამ ვერ გაიმარჯვეს. 1901 წ. უმუშევრობის გამო ფაბრიკა გაჩერდა, რის მიზეზითაც არიან დარჩენილი უსაქმოდ 369 მუშა.

— ადელხანოვის ტყავის ქარხანაში მეწაღენი გაიფიცნენ 1900 წელს სექტემბერში. მიზანი გაფიცვასა იყო სამუშაოზედ ფასების დაწევა. რადგან თანხმობით და შეგნებით იყო დაწყობილი გაფიცვა მოამატებინეს ორ სხვა და სხვა სამუშაოზედ 1 ნაჭ. 10 კაპ. და 2 ნაჭ 5 კაპ. ორი ავინ იყო დათხოვნილი. მკერვალები გაიფიცნენ შარშან აგვისტოში. მიზანი გაფიცვისა იყო ფასების მომატება (ნაჭრებზედ 8 კაპ.) რაც კიდეც მოამატებინეს. ამ გაფიცვით გათამამებულთ იმავე თვეში მოითხოვეს ფასის მომატება სხვა ორ ნაჭერზედ (მუნდირის და შარვალის)

იყვნენ გაფიცულნი ორ თვეს. შემდეგ ორი თვის გაფიცვისადაიწყეს მუშაობა ძველ ფასებზედ. დაპერილი იყო ოთხ მუშა ერთი დღე-ღამით პოლიციაში. ეს მომუშავენი არიან დარჩენილნი ამ ჟამთ უსაქმოდ.

— 1901 წელს 20 აგვისტოში გაიფიცნენ მაშინაზე მომუშავენი. გასტანა სამი დღე. მიზეზი გაფიცვისა იყო მომუშავეს დათხოვა იმის გამო რომ ამ მუშას დაგვიანდა ხუთი წამი, რისთვისაც ერთი მანეთით დაჯარიმება გამოუცხადა გამგემ. მუშა არ დათანხმდა ჯარიმის გადახდაზედ; და გაძგერ გასვლა უბრძანა ქარხნიდან; მომომუშავემ გასვლა არჩია ასეთი უწესო ჯარიმის გადახდას და გავიდა. დანარჩენი ამხანაგები ააღელვა ამ ამბავმა და მოითხოვეს რომ დათხოვნილი ამხანაგი მიეღოთ და ჯამაგირებიც გაედიდებინათ; გარდა ამისა ითხოვეს წესების შემოღება ქარხანაში: ავადმყოფობის დროს არამც თუ ჯარიმას არ გადვიხდით, არამედ ჯამაგირი, მუქთა ექიმი და წამალიც უნდა გვაძლიოთო. ჯამაგირის მომატება მოითხოვეს შემდეგ ნაირათ:

1) ვისაც თხუთმეტი მანათამდე ეძლეოდა თვეში მომატებოდა 25 კაპეიკი თვითეულ მანეთზედ საზოგადოდ თავიანთი ჯამაგირისა.

2) თხუთმეტ მან. ზეევით ვინც იღებდნენ 80 მან. თვეში მომატებოდა თვეში 15 პროცენტი ჯამაგირისა.

3) სამ თუმანზედ მეტის ამღებთ თვეში მომატებოდათ 10 პრ. ჯამაგირისა და კიდეე სხვა მოთხოვნილებანი იყო. გაფიცვა სრულის გამარჯვებით გათავდა. მაშინისტების გაფიცვამ გამოიწვია მეწაღლეების გაფიცვა (მეცალების). რადგან მასალა აღარ მიაწოდეს მაშინაზედ მომუშავეებმა ამის გამო უსაქმოდ დარჩენილთ მოითხოვეს ხაზეინისაგან ან საქმე ან ჯამაგირი მოგვეციო (ნაპრით მომუშავენი არიან). დაიწყო 23 აგვისტოს დილ. 6 ს. ,ათავდა 1 საათზედ ამავე დღეს მუშათა გამარჯვებით. აიღეს სამი დღის უმუშავრობის გამო ქირა.

— 1901 წ. 18 აგვისტოს, კონკის მუშებმა მოახდინეს გაფიცვა. თხოულობდნენ: ორ გამოცვლას (სმენას), ზოგიერთი სასტიკი კანონების მოსპობას, ხელფასის მომატებას, და დათხოვნა, რომელიც ხშირად ხდება, მხოლოდ მაშინ იყოს შესაძლებელი, თუ რომ მუშათა წარმომადგენლების განხილვ თ ღირსია დათხოვნისა. მოძრაობა კონკებისა შეჩერებული იყო დღის ექვსი საათიდან რვის ნახევარამდე: შემდეგ კი კანტორშიკები და კანტროლები გაგზავნეს კანდუქტორ კუჩერებათ და რამდენიმე ახალ მიღებული მუშები, რომელთაც გამოიყვანეს 24 კონკა (52 მაგიერ). ამ მოვლენას რომ შეეხედეს, შეეშინდათ უფრო მოუმზადებელ მუშებს და 4 მათგანმა ულალატეს თავიანთ მოძმეთ და დაიწყეს მუშაობა. ამათ რო შეხედეს, დანარჩენებმაც, გარდა 46 მუშისა, ყველა გავიდა შუადღემდის. 4 მუშა დაიჭირეს და გაგზავნეს ციხეში, სამი დაითხოვეს და დანარჩენიც მეორე დღეს გავიდენ სამუშაოდ. მიზეზი ასე უნაყოფოდ საქმის წასვლისა იყო მოუმზადებლობა უმრავლესობისა და ის ურცხვი სისასტიკე, როგორიც გამოიჩინა ჟანდარმერიამ გაფიცულების წინააღმდეგ.

— ოც აგვისტოს ამა წლისა ადელხანოვის ტყავის საკეთებელ ქარხანაში გაიფიცა 200 მუშა. მათ წარუდგინეს ხაზეინს შემდეგი მოთხოვნილებანი: 1, წესდებულების შემოღება ფაბრიკაში; 2, მომატება თვიური ჯამაგირისა შემდეგის ზომით: 6—15 მანეთის ამღებს თვეში, მოემატოს 25 კაპეიკი მანეთზედ, 16—30 მანეთის ამღებს თვეში, მოემატოს 15 კაპეიკი მანეთზედ, 30—60 მანეთის ამღებს თვეში, მოემატოს 10 კაპეიკი მანეთზედ; 3, სამუშაოზე 10 წამის დაგვიანებისთვის ჯარიმა არ[illegible] [illegible]ადახდეს; და ვინც 10 წამზე მეტს დაიგვიანებს, [illegible] [illegible]ადახდეს იმდენი, რამდენიც ეკუთვნის მას ამ დაგვიანებულ დროში ჯამაგირათ; 4, ავადმყოფობის დროს არ[illegible] [illegible] დაჯარიმდეს მუშა, არამედ მიეცეს მას სრული თვ[illegible] [illegible] ჯამაგირი, ექიმი და წამლობა მუქთად; 5, ყოველ[illegible] [illegible]ს აქვს უფლება დაუსჯელად მოსცდეს მუშაობას [illegible] [illegible]ებლად, დასამარხად, მოსან თლად, საქორწილ[illegible] [illegible]ხვა; 6, აკრძალულ იქმნას მუშების [illegible]ანძღვა-გინ[illegible]ს ფაბრიკის მართველებისაგან და შეგირდების ცემა; 7, არავინ არ იქმნას დათხოვნილი უმიზეზოთ ფაბრიკიდგან; 8, ამ გაფიცვის გამო არავინ იქმნას დათხოვნილი და დატუსაღებული; 9, ყველა ამ ზემოთ ჩამოთვლილ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება გამოცხადებულ იქმნას განცხადების გამოკვრით. რით გათავდა გაფიცვა ჯერ არ ვიცით.

— ქუთაისში მომხდარ პროტესტისა გამო, რომელიც საზოგადოებამ გამოუცხადა მთავრობას დრამა კონტრაბანტისტების დადგმისთვის სამართალში მიცემულ იქმა სამი სტუდენტი (კანდელაკი, ლორთქიფანიძე და ნინიძე). სასამართლომ ბრალდებულთ უარი უთხრა მოწმეების მოწვევაზედ, მაშინ როდესაც პოლიციის მხრივ მიიწვიეს 80-მდე მოსყიდული მოწმე პოლიციელებიეე. ამას რუსეთში სამართალს ეძახიან!.. ერთი პოლიციელი დაითხოვეს იმის გამო, რომ გამოძიებაზე აჩვენა ის რაც დაინახა, ე. ი. ის რომ წესიერებას თვით პოლიციაარღვევდა საზოგადოების ცემა ტყეპით. როცა ამავე პოლიციელმა გადასთქვა თავის ჩვენება და პოლიციის სასარგებლო ჩვენება მისცა,—ისევ მიიღეს სამსახურზე. ამ გვარ სინდისის ვაჭრობას კიდევ სამსახურს ეძახიან!..

— ბათუმში 23 იელისს მოხდა გაფიცვა გურსკაიას სტამბაში, სადაც იბეჭდება საზიზღარი გაზეთი ,,ჩერნომორსკი ვესტნიკი''. თხოულობდენ ფასის მომატებას და დროს კანონიერად დანაწილებას. გაფიცვაში ჩაერია პოლიცია, რომელიც ჯერ ეხვეწებოდა გაფიცულებს დაეწყოთ მუშაობა და შემდეგ რამდენიმე დაატუსაღა. მუშები ყურს არ უგდებდენ პოლიციის ხვეწნა-დაპირებას, რადგან კარგად იცოდენ რა პირისაც ბრძანდებიან თავის ნათქვამზე პოლიციელები. გაფიცვა ვერ მოიგეს მუშებმა ისევ მუშის ღალატისა გამო; დათხოვნილ იქმნა რამდენიმე მუშა; ეს მხოლოდ პირველი გაფიცვა იყო და შემდეგ იმედია საქმეს რიგიანად გაუძღვებიან.

კორესპონდენციები

თბილისის სტამბებიდგან. ძნელად ნახავთ ისეთ სამრეწველო დაწესებულებას, რომელიც თავისის ჯოჯოხეთურის პირობებით აღემატებოდეს თბილისის სტამბებს. აქაურ მომუშავეებს ნარგები აქვთ წამებულთა ხვედრი. 10—15 წლის მუშაობა იმ პირობებში, როგორშიაც აქამდე იმყოფებიან საკმარისია, რომ მუშა გადაიქცეს საპყარათ და შრომისათვის უვარგისად. იშვიათად ნახავთ სტამბის მუშას, რომელსაც ემუშაოს ამდენი ხანი და შერჩენოდეს ადამიანის სახე. გაყვითლებული, თვალებ ამღვრეული, კბილებ ჩაშავებული და მოკუნტული სტამბის მუშა ლანდივით დაიარება; მისთვის არ არსებობს არავითარი გონებრივი საზრდო, არავითარი გონიერი სასარგებლო გართობა და დასვენება. მას არ შეუძლიან ისარგებლოს იმავე წიგნებით მაინც, რომელთაც იგი აწვდის ბურჟუაზიას და არისტოკრატიას.

ის შენობები, რასაც თბილისში სტამბებს ეძახიან, ცოტაოდენად რიგიან მოწყობილ ქვეყანაში გამოსადეგი იქნებოდა მხოლოდ პირუტყვების საცხოვრებლად, საქონლის საწყობებათ, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ადამიანის საცხოვრებლად და სამუშაოთ-კი არასოდეს არ ამოიყენებენ. მომეტებული ნაწილი თბილისის სტამბებისა მოთავსებულია ღრმა, ბნელსა და ნოტიო სარდაფებში, ბევრ ალაგას მუშები იძულებულნი არიან დღისითაც ლამპაზე იმუშაონ. ყველგან დიდი სივიწროვეა, რისგანაც მომუშავეს ეხუთება სული და უხვად ყლაპავს ტყვიის და მიწის მტვერს. ყველგან აუტანელი სიბინძურე და სიმყრალეა. თავისს დროზედ არასოდეს არ სუფთავდება სტამბა და მთელი თვეობით ნაგავი, ტალახი გაუტანელი რჩება. ხშირად შეხვდებით სტამბის მუშას რომ ყნოსვა სრულებით დაკარგული აქვს. სტამბის მუშა, რომელიც იძულებულია ლუკმა-პურისათვის თვალები ჩაიწყალოს და თავისი ჯანი შეალიოს ღვდლების, აზნა-

ურების, ბურჟუების და მთავრობის ტვინის ნაღლეტს, მოკლებულია სულ მცირეოდენ თავისუფალ დროს რომ სუფთა ჰაერით მაინც ამოისუნთქოს, მიმოავლოს თავისს გარშემო თვალი და დაინახოს, რომ იგი გადაუქცევიათ ადამიანისაგან მაშინად და უენო პირუტყვად. ნამეტან გაჭირვებაში იმყოფებიან ის მუშები, რომლებიც გზეთებზე დგანან. მათთვის არ არსებობს არც ვადა დღიური მუშაობისა, არც ღამე და არც უქმე, მუდამ სტამბაში არიან მიბმულები კასსა-მაშინებზე. ამას რომ მიუმატოთ ისიც, რომ სტამბის მუშას ძალიან ცოტა ქირა ეძლევა სხვა მუშებთან შედარებით, დავინახავთ, რომ ის მოკლებულია ადამიანურ ცხოვრებას, უსაშუალო არის იცხოვროს ნორმალურად და კვდება სანამ სიცოცხლის ნახევარ გზას გაივლიდეს.

ამ გვარ სამწუხარო საზოგადო მდგომარეობასთან სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელ ხანში სტამბის მუშებიც დაუკვირდენ თავისს მდგომარეობას, მიხვდენ, რომ ასეთი პირობებით მეუძლებელია ადამიანის, თუნდ მუშაც იყოს იგი, სიცოცხლე და დაიწყეს მეცადინეობა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. მართალია, ეს მოვლენა საყოველთაო არ არის თბილისის მესტამბეებისათვის, მართალია აქამდე მხოლოდ უმცირესობა არის გამოსული ბრძოლის ველზედ, მაგრამ რაც დრო გადის იმდენი უფრო ვრწმუნდებით, რომ გუშინდელი პატარა ჯგუფი მებრძოლი მუშებისა დღეს მრავალ რიცხვოვანად ხდება და დღითი-დღე იზრდება მებრძოლთა ძალა.

ეხლა ვერ ნახავთ თბილისში ერთ სტამბასაც, რომ შიგ პატარა თუ დიდი ჯგუფი შეგნებულ მუშებისა არ ტრიალებდეს და თავისთან არ ითრევდეს აქამდე ჯურღმულში ჩაფლულ თავისს ამხანაგებს. აქამდე ბრძოლა მხოლოდ ცალ-ცალკე სტამბებში ხდება, ჯერ ვერ შეერთებულან ყველა სტამბის შეგნებული მუშები მტკიცე კავშირით, რომ შეერთებული ძალით მიიტანონ ხოლმე იერიში თავისს მტერზე და აი ეს შეერთება არის უპირველესი მიზანი თბილისელ სტამბის მუშებისათვის. გავუმეორებთ ჩვენს მეგობრებს, რომ ჩვენი ძალა და მასთან გამარჯვებაც მდგომარეობს მხოლოდ ჩვენ შეერთებულ ძალაში, რომ ჩვენ სუსტნი ვიქნებით და დამარცხებულნი ხაზეინებთან და მთავრობასთან ბრძოლაში მანამ, სანამ ყველა სტამბები ერთმანეთს არ დავუჭერთ მხარს და არ გადავწყვეტავთ დავეხმაროთ ყველანი ყველას.

აი რამოდენიმე ცნობები თბილისის სტამბებში მიმდინარეობაზე. 1899 წლის დამლევს გაზეთ „ივერიის“ მუშები შარაძის სტამბაში გაიფიცნენ და მოითხოვეს ფასის მომატება. „ივერიის“ გამომცემელს პატენტ დაკარგულ ლიბერალს, პოეტად ნამყოფს და ეხლა-კი ბანკირს, კნიაზს ილია ჭავჭავაძეს არაფრად ეკეშნიკა როდესაც „სიმართლის ხმამ დაიქუხა“ და აქამდე დაბეჩავებულმა მუშამ მოწყალების მაგივრად მოსთხოვა პირობების შეცვლა. გაზეთი შეჩერდა ერთ დღეს და შემდეგ მოტეხეს მუშებმა კნიაზის სიამაყე და დაათმობინეს ყველა მოთხოვნილებანი. ადმინისტრაცია არ ჩარეულა.

1900 წელს თებერვალში ამავე გაზეთის მუშებმა მოახდინეს შესანიშნავი გაფიცვა. მიზეზად იყო უქმეების მუშაობა. რედაქციას არას გზით არ უნდოდა დათანხმება, მაგრამ მუშების მტკიცე მოქმედებამ გადასტეხა ყოველი წინააღმდეგობა. ჭავჭავაძემ მიმართა პოლიციას, დაატუსაღებინა ამწყობები, მაგრამ სამაგიერო მუშები ვერ იშოვა. გაზეთი 4 დღეს სულ არ გამოსულა. შემდეგ რედაქციამ დაიწყო წიალი სხვა-და-სხვა სტამბებში, მაგრამ სხვა სტამბებშიც უარი უთხრეს გაფიცული გაზეთის აწყობაზე. რის ვაივაგლახით გამოჰყავდათ ერთი კვირის განმავლობაში. შემდეგ იძულებულნი გახდნენ დაეთმოთ მუშებისათვის. მოუმატეს ქირა და გააწესრიგეს უქმეები.

1900 წელს გაზაფხულზე მოხდა გაფიცვა ე. ბაბალიძის სტამბაში. მოითხოვეს ჯამაგირით თავისს დროზე დაკმაყოფილება. ორი დღის უმუშავრობის შემდეგ მაძიებელმა ბანაურმა ხელაძემ მისცა წერილობითი პირობა მუშებს, რომ ის ვალდებულია და ყოველ მიზეზის მიხედვად მისცემს მუშებს ხვედრ ჯამაგირს თავისს დროზე. ვალდებული გახადა თავისი თავი მისცეს გაფიცულ დღეების ფულიც; შესწორებულ იქმნა დღესასწაულებ[illegible]ტაბელი და რამდენიმე უქმე დღე მოემატა; დაწესდა შაბათობით გათავდეს მუშაობა ერთი საათით ადრე (მუშაო დღე 10 საათია). იმავე ხანში ქართველთა ამხანაგობის სტამბაში წარუდგინეს ძართველს ეგეევ მოთხოვნილებანი, რაშიაც გაუფიცავათ მიიღეს სრული კმაყოფილება. ამავე წელში ლიბერმანის სტამბაში მუშები განაცხადეს უარი ღამის ზედმეტ მუშაობაზე (ვეჩეროვ[illegible] და ერთ ღამეს აღარ უმუშავნიათ, მაგრამ მიზანს ვ[illegible] მიაღწიეს. რადგან მტკიცეთ არ ადგნენ თავიანთ მოთხოვნილებაზედ და არჩიეს სხვა სტამბებში გადასვლა.

კაზლოვის სტამბაში მოითხოვეს ქირის მომატ[illegible] და უქმეების გაწესრიგება. არ იმუშავეს ერთი დღემაისს, რომელსაც არ უქმობდენ. ხაზეინი დათანხმდა მ[illegible]შების მოთხოვნილებაზე. სტამბებში საზოგადო მოძრაობამ იმოქმედა ამხანაგობის სტამბაზე და 1900 წლის [illegible] მოდგომიდგან დაიწესეს იქ 9 საათის სამუშაო ეადა (8 საათის მაგიერ) და შაბათობით 8 საათი. მთავარ-მართ[illegible]ბლის სტამბაში გაზ. „კავკაზის“ მოქუშავეებმა მოითხოვეს ფასის მომატება. მოთხოვნილება შეუსრულეს გაფიცავათ. ივლისში ხელაძის სტამბაში გაზ. „ივერიის“ მუშებმა მოითხოვეს ფასის მომატება. გაზეთი 4 დღე [illegible]ვამოსულა. რადგან ხაზეინ-გამომცემელი არ დასთანხმ[illegible] ყველა მუშებმა ხელი აიღეს. გაზეთის გამოცემა ჩარკვ[illegible]ანის სტამბაში გადაიტანეს და იქ პატარა შეგირდები[illegible] და რამდენიმე შეუგნებელი მუშების შემწეობით გამ[illegible]ყვეთ დიდის ვაი-ვაგლახით შემოკლებული, არეულ-დარეული და შეცდომებით სავსე „ივერია“.

ამ მოძრაობას, რასაკვირველია, გულ-გრილად ა[illegible] უყურებდა ადმინისტრაცია. ყოველი გაფიცვა, ყოველ[illegible] პროტესტი მუშებისა ელდასავით ეცემოდა ჟანდარმებს [illegible] ბრძანებენ ყოველ ღონეს ხელი შეშალონ [illegible] ბარეობის გაუმჯობესებას.

1900 წ. მაისში მოხდა შეერთებული კრება თბილისის სტამბის მუშებისა, რაზედაც გადაწყდა შეერთებული ძალით იმოქმედონ ხოლმე თავის მტრების ხაზეინების და მთავრობის წინააღმდეგ. ამ კრებამ დაუფრთხო[illegible] ძილი ჟანდარმებს და მიჰყვნენ მუშების დატუსაღებას. [illegible]ბილისის სოც.-დემოკ. კომიტეტმა ხომ თავგზა აურია [illegible]ბრძოველობას. კომიტეტი სცემს ხშირ-ხშირად თავის[illegible] სტამბაში დროს შესაფერ პროკლამაციებს. ჟანდარმებ[illegible] სტამბა ვერ ამოუჩენიათ და ჯავრს სტამბის მუშებზე [illegible]ყრილობენ. მ. შარაძის და მარტიროსიანცის სტამბებ[illegible] დაჩხრიკეს და თუმცა ვერა ნახეს-რა საეჭვო, მაინც [illegible]ჭიროდ სცნეს პირველის სტამბის დაკეტვა.

დატუსაღებულები: ცერცვაძე, ბილანოვი, ვადაჭკორია, ხუციშვილი, ალშევსკი, პეტროვი, ხატისოვი, ეგოროვი, სულხანიშვილი ესენი გამოუშვეს სხვა-და-სხვა დროს. 20 აგვისტომდე სხვადან ციხეში შარაძე, ფლეგენტოვი, იოშვილი, ჩანტლაძე, მაისურაძე, ურუშაძე, ბილანოვი (მეორეთ), ალშევსკი (მეორეთ), აბრამიშვილი (15 წლისა).

ამხანაგი

ენფიაჯიანცის ფაბრიკა, 1901 წ. აპრილს [illegible]ციფიცა 25 მუშტუკის დამკვრელი (ეს მუშები თანაშეკ[illegible]ულთ მუშაობენ პაპიროსების გამკეთებლებთან). გაფიცვის [illegible]ეზეი 3 მუშტუკის დამკრელთა მიეულებლობა იყო, რომ[illegible]ელთაც თავიანთ ნებით დაენებებინათ მუშაობისთვის ამ [illegible]ფაბრიკიდგან და ორი კვირის შემდეგ ხელ მეორედ უნ[illegible]ოდათ აქ მუშაობა. ხაზეინი არ უშვებდა მათ სამუშაოზ[illegible] [illegible]თვით მუშებმა შეიყვანეს თავ-თავიანთ ალაგას დააყენეს [illegible] მისცეს სამუშაო. ფაბრიკანტმა შეატყობინა ბოქაულს [illegible] [illegible]ომელიც მისვლისათანავე შევიდა სადაც ეს სამი მუ[illegible]ტუკის დამკვრელები მუშაობდნენ და ცემით დაუწყო [illegible] [illegible]ორეკვა ფაბრიკიდგან. მუშებმა რომ ნახეს პრისტავ[illegible] [illegible]ეცური ძალადობა, ერთბაშათ თავი დაანებეს მუშაობა[illegible] [illegible]ა მუქარით პრისტავს მიეტანა, პრისტავი გარეთ გა[illegible]

ვარდა და მუშებიც თან გამოჰყვნენ; გარეთ ათი-თორმეტი გარადავოი მზათ ჰყოლოდა პრისტავს, შემოახვია გარს მუშებს და პოლიციაში წააყვანინა. პოლიციაში 10 მუშა ამოარჩიეს, რომელნიც საღამომდის უჩასტკაში ჰყვანდათ საღამოზედ პრისტავმა უთხრა მუშებს: ხაზეინი თითოს თქვენგანს 20 მ. გაძლევთ, აიღეთ და მოშორდით მაგის ფაბრიკასო, თუ არა და ციხეში გაგზავნითთო. მუშებმა უარი გამოუცხადეს ფულის აღებაზედ, „სად უნდა წავიდეთ, ჩვენი ხელობა ეგ არის, მაგ მუშაობით ვცხოვრობთო, თვალი უნდა მოითხაროს და გვამუშაოსო, თუ ციხეში გაგვგზავნი იქ ხომ სამუდამოთ არ გვამყოფებთ, რომ გამოველთ მაშინვე პირდაპირ მაგასთან მივალთ თუ არ გვამუშავა ცოცხალს არ დაესტოვებთო. თუმცა პრისტავი სცემდა პოლიციაში დამწყვდეულს მუშებს, მაგრამ იგინი მაინც მაგრათ იდგნენ თავიანთ ნათქვამზედ, ცემის დროსაც კი იმას გაიძახოდნენ: გვცემეთ! დაგვხოცეთ! თქვენ ხო მეტი სინიდისი არა გაქვთ! ჩვენთვის კი სულ ერთია, თუნდ ცემით სიკვდილი და თუნდ შიმშილით; თუ ცოცხლები დავრჩით ამოვიყრით ჯავრს. თუ არა და ჩვენი ამხანაგები, ჩვენი ძმები ამოიყრიან ჯავრსაო. რადგან ეს ნადირი პრისტავი ცემითაც ვერას გახდა, საღამოზედ გაგზავნა ციხეში ეს ათივე მუშა, დანარჩენ მუშებს აღარ დაუწყვიათ მუშაობა და სთხოვდნენ დაჭერილი ამხანაგების გამოშვებას. აძგვარი გაფიცვა რამდენსამე დღეს გაგრძელდა. ფაბრიკანტმა რომ ნახა მუშები არა ხუმრობენ, აძალადებენ და შიშიც მიელოდა მოთხოვნილების შეუსრულებლობაზედ, კიდევ პოლიციას მიმართა თუ არ მუშაობენ თავიდამ მაინც მომაშორეო; თუ 20 მ. არ სჯერდებიან 30 მ. მივსცემო. პოლიციამ ერთი ორჯერ დაიბარა ეს მუშები და გამოუცხადა ნათქვამი ფული. რო არა ყაბულდებოდნენ შიგა და შიგ მუშებს სცემდნენ ხოლმე რომ ფაბრიკაში აღარ მისულიყვნენ, მაგრამ ტყუილად ცდილობდა პოლიცია. პოლიციიდგან გამორეკის უმალ ფაბრიკანტს მიუხტებოდნენ მუქარით [illegible] თავიანთ მოთხოვნილებას. რამდენიმე დღის შემდეგ ესენიც ციხეში გაგზავნეს ე. ი. 18 მუშა. 45 მუშიდგან ციხეში გაგზავნეს 28 კაცი, დანარჩენები არც ფაბრიკას ეკარებოდნენ და არც პოლიციას. ციხეში ამყოფეს 3—5 თვემდის, ყოველ დაპროსზედ ყველა უკვე ნათქვამს ფაბრიკანტთან ნათქვამს იმეორებდნენ. ამ 28 მუშიდამ 9 კაცი გაგზავნეს სამ-სამი წლით რუსეთის ქალაქებში. ამათ გაგზავნის 3 კვირის შემდეგ 19 კაცი გაგზავნეს 6—8 თვ. მხედველობის ქვეშ კავკასიის ქალაქებში. გაიგზავნა პარტია-პარტიად. ყველა პარტიამ თითქმის პატარა დემონსტრაცია მოახდინა სტანციაზედ. ლანძღავდნენ და ემუქრებოდნენ პოლიციას, ფაბრიკანტებს და მთლად დღევანდელ დესპოტიურ მართველობას.

მ ი რ ი ს ფ ა ბ რ ი კ ი დ ა ნ. ჩვენი ფაბრიკის პატრონი ძალიან მოუსვენრად გრძნობდა თავს რამოდენიმე მუშისაგან. დიდხანსა ლესავდა კბილებს, ვინ იცის რა ოინებს არა ხმარობდა, რომ თავიდან მოეშორებინა ძილის დამბთხობი მუშები. ნამეტან უგუნებოდ შეიქნა იგი მაშინ როცა ახალი მაშინები მოიტანა და მით უნდა დაეთხოვა ოცი მუშა. მან გამოუცხადა რომ თუ ნებაყოფლობით, მშვიდობიანათ გამცილდებით თითო დათხოვნილ მუშას 30—40 მანეთს მოგცემ წასვლის დროსო. ამ მოწყალებაზე დასთანხმდა 4 მუშა. დანარჩენები არა ფიქრობდენ წასვლას და თხოულობდენ სამუშაოს. ხაზეინი დაჰპირდა თითოს ასი მან. ოღონდ 15 მუშა მოშორდეს და ნუ მიმღვრევს წყალსო. ყველა მუშამ გამოუცხადეს, რომ თუ ჩვენ ამხანაგებს დაითხოვ რა პირობითაც უნდა იყოს გავიფიცებით ყველანიო. ხაზეინი ახტა დახტა და მივიდა ჟანდარმებთან. „არიქა მიშველეთ, თქვენი ღვთის გულისთვის. აჰა ეს ფული დაურიგეთ მუშებს და მომაშორეთ როგორმეო". მაგრამ ჟანდარმებს როგორღაც შეცდომით მოუვიდათ და სამსახური ვერ გაუწიეს თავის დამქაშს ხაზეინს. მათ შეეძლოთ მუშების ფული გამოერთმიათ თითონ ჩაედოთ ჯიბეში და მუშები დაეტუსაღებინათ. ეს არა ქნეს ჟანდარმებმა გვაკვირვებს მათი პატიოსნება... ხაზეინმა დაუწყო სამ კაცს ვაჭრობა, თითოს სამას მანათამდე დაჰპირდა. დარწმუნებული იყო რომ თუ ისინი წავიდოდენ დანარჩენებს ადვილად გაუსწორდებოდა. ორი ამ სამიდგან მიისყიდა. მესამემ ცივი უარი დაარტყა. წავიდა მაშინ დანოსები დანოსებზე. პოლიციას შეატყობინა, რომ ეს მუშა სხვებს აქეზებს, რომ ის აკრძალულ წიგნებსავრცელებს და და სხვ. და სხვ. გაჩხრიკეს ჟანდარმებმა მაგრამ ვერაფერი საბუთი უპოვეს რომ დაეტუსაღებინათ. ხაზეინი ეხვეწებოდა თუ ვერ დაატუსაღებთ ეს ხათრი მაინც გამიწიეთ: განგებ წაიყვანეთ და მე შეგეხვეწებით მაგის განთავისუფლებაზე ეგებ ამით მოვიმადლიეროო. ჟანდარმებმა თხოვნა შეუსრულეს და ეს პამპულობა შეასრულა ხაზეინმა მუშების სასაცილოდ, რადგან მათ კარგა იცოდენ რაში იყო საქმე. შემდეგ შეუჩინა პრისტავი და ამან დაუწყო სახარების კილოთი გალობა. ეხვეწა დათანხმებულიყო და გასცლოდა ფაბრიკას. „ხედამ, ყველანი დათანხმდენ აბა შენ მარტო რას გახდები? შენი ამხანაგები მხდალები, რეგვნები არიან. ერთი პირი არა გაქვთ და მაგიტომა ხართ მაგ დღეშიო" ეუბნებოდა პრისტავი: დახე სოფლის ტრიალს! პრისტავი აგიტატორის როლში! რა მზრუნველობაა...

საქმე გათავდა იმით რომ ეს მუშაც დათანხმდა ბოლოს და ფაბრიკას დაანება თავი.

მუშტუკი

---

* * *

ოცდა ორ აპრილს!.. ოცდა ორ აპრილს!..
არ დაივიწყებს ჩამომავლობა!..
ყველას აუძგერს სიამით გულსა,
მუშა ხალხისა გმირთა-გმირობა.

და გმირთა-გმირებს წინამორბედებს
დაედგათ ძეგლი ხელუხლებელი,
მათ ვინც შელეწა და დაამსხვრია
საერთო ტანჯვის მძიმე უღელი!

მათ ვინც შესწირა ზვარაკად დადვა
თავი მომმეთა საჭირნახულოთ,
არ შეუშინდა მტარვალთა მახვილს
დროშა აღმართა სასიხარულოთ.

დროშა ერთობის, თავისუფლობის,
ეროვნებისა განურჩეველი,
დროშა აღმდგენი ჭეშმარიტების
აწ და მარადის სიმართლის მთქმელი

დროშა ქვრივ-ობლის, ოხერ-ტიალის
ნუგეშ საცემლათ მოვლინებული,
დროშა მუშისა სისხლით და ოფლით
შეზავებული, დამძიმებული...

დროშა „ბურჟუას" ძირიანათა
მალე მომსპობი, ამომგდებელი,
იმათ დუდუკზედ ფეხის ამყოლთაც,
მუდამ შემმუსრი-შემჩვენებელი;

დროშა საერთოდ კაცობრიობის
კეთილ-დღეობის მომნიჭებელი,
იმ დღის, როდესაც ყველგან ყოველთვის
ინეტარყოფებს სული ყოველი!...

შავბიჭა.

ასი წლის იუბილეის გამო

(წერილი ქართველ მუშებთან).

ენკენისთვეში ჩვენებური თავად-აზნაურობა საქართველოს რუსეთთან შეერთებას დღესასწაულობს! ასმა

წელმა განელო მას შემდეგ, რაც რუსეთის ფრთებს ქვეშ შეაფარა თავი დაღლილმა, დაქანცულმა საქართველომ. ქეიფ-ზეიმით, „ბალ-ვეჩერებით“ ეგებება ჩვენი „ბრწყინვალე“ წოდება ამ დღეს და მთელი ხალხის სახელით მადლობას უძღვნის რუსეთის მთავრობას, ქედ-მოხრილი, მოწყალებისათვის ხელს უწვდის მას და ჩამოთხოვილი გროშებით პამპულასავით ერთეება გასაბრწყინვებლათ. მუშა ხალხი კი ამ დროს შორით უცქერის ამ სანახაობას, ყურს უგდებს არა ჩვეულებრივ ხმაურობას და სურს შეეკითხოს: „ვინ მოგახმოთ ჩვენდა წინამძღვრათ“?! ჩვენ კარგად დავაფასებთ უთქვენოდაც ამ ასის წლის ისტორიას, მთავრობის ვახრწნილ პოლიტიკას, თქვენს მასხრულ ლაქვიაობიას, ჩვენ უკვე შეგნებული გვაქვს ჩვენი ყოფა-ცხოვრება, რომელიც იმავე პოლიტიკით ტანჯული და გამწარებულია, ვხედავთ ბრწყინვალე მომავალს, რომელიც მთავრობის მოწყალებით არ მოიპოვება; ჩვენ გვინდა ჩვენი გულის ნადები ამ შემთხვევის გამო საზოგადოებას ერთხელ კიდევ ვამცნოთ, შეგნებული „მე“ წინ დავუყენოთ ყოველივე გამხრწნელ ძალას და გამოწვეულ მედიდურობას ერთხელვე სამუდამოთ ვაგრძნობინოთ, რომ მისი არარაობა, მისი სიცალიერე, ზნეობრივი სისუსტე, გონებრივი სილატაკე, გაურცხვებული სიფლიდე დროებით ხიშტებზე აგებული ძლიერებაა, რომელსაც გახრწნა და დალპობა მოელის. დეე, საზოგადოების სულთ-მობრძავმა ნაწილმა მით თავი შეიქციოს, თავისი ბინძური ხელი გაუწოდოს სამარცხვინო მოკავშირეს, ჩვენ ქართველ მუშათა პარტიამ მოკლეთ მაინც გამოვხატოთ ქაღალდზედ ჩვენი დამოკიდებულება მათთან, გავითვალისწინოთ დღესასწაულის ნამდვილი მნიშვნელობა და მით ჩვენი გულის პასუხი აშკარათ და გაბედულათ ვამცნოთ მათ, ერთმანეთს გავუზიაროთ, და მედღესასწაულეთ განცხრომის დღესაც ვაგემოთ ჩვენი ზიზღი, უკმაყოფილება, ვაგრძნობინოთ მათთვის სავალალო—ჩვენი არსებობა! მაშ ჯერ წარსულს მივუბრუნდეთ.

საქართველოს წარსული ისტორია ომიანობის, სისხლის ღვრის ისტორიაა. გარეშე მტერთან მუდმივი ბრძოლა და შინაური განხეთქილება მეფეთა და მთავრებს შორის მძიმე ლოდათ აწვა ხალხს კისერზე და ბოლოს კიდეც გასწყვიტა წელში ეკონომიურათ, დაქანცა და დააუძლურა ფიზიკურათ. ხალხი შრომობდა, ხალხი ომობდა; მშვიდობიანობის დროსაც მისთვის ცხოვრება ტანჯვა იყო განცხრომის ძეთა საგემებლათ მოვლინებული. მისი ღონე დღითი-დღე ილეოდა, ეს ძლიერი საძირკველი გაირღვა და მის ზედაშენს მაღალ წოდებას ნიადაგი გამოეცალა; საკუთარის ძალ-ღონით ქვეყნის მართვა გამგეობა შეუძლებელი იყო. მტრის გამკლავება მის ღონეს აღემატებოდა, მან დაყარა იარაღი და რუსეთის მთავრობას გაუწოდა ხელი: მიშველე და შემიფარე. რუსეთის მთავრობა ამ გემრიელ ლუკმას—საქართველოს—კარგა ხანია მუშტრის თვალით უყურებდა; დაუყოვნებლივ გაუშალა ფრთები და დაქანცულნი, შეშინებულნი შიგ შეისხა. ამ დროიდგან საქართველოს ცხოვრება ახალ კალაპოტში ჩადგა. გარეშე მტრებისგან უზრუნველყოფილი, იგი შინაური ცხოვრების გარემოებას ჩაუფიქრდა და რუსეთის ცხოვრებით გამოფხიზლებული მოქალაქობრივი ძალ-ღონის მოკრებას შეუდგა. საქართველო ამ დღიდგან დამოკიდებული გახდა ეკონომიურად და კიდევ უფრო პოლიტიკურათ რუსეთისაგან და უკანასკნელის კანონი, ზნე-ჩვეულება, ენა, ვაჭრობა-მრეწველობა ნებით თუ უნებლიეთ ფეხს იკიდებდა ახლად შეერთებულ ქვეყანაში. რუსეთში-კი ამა დროს ვაჭრობა-მრეწველობა წამოჩიტებული იყო და ევროპის გავლენით და შინაური ცხოვრების საჭიროებით საოცარის სისწრაფით იზრდებოდა. მეცხრამეტე საუკუნის ისტორია ამ ზრდის და ვითარების ისტორიაა. რკინის გზებმა, ფოჩტა-ტელეგრაფებმა დასერეს და შეაერთეს ვეებერთელა სახელმწიფოს დაშორებული ადგილები ერთმანეთს და მასთან ერთად ჩვენი საქართველოც. გემებმა შავი და კასპიის ზღვები გაავსეს და ორ ზღვათა შუა ხმელეთის მიუვალი მთები, სადაც მეფეები და მთავრები ომიანობის

დროს მტრისაგან თავს იფარავდნენ, რკინის გზებმა
ვრიტეს და ახალმა „ვეშაპმა“ მიაკივლა მიყრუებულ
დამოებს. ბუნება და ადამიანები შეკრთენ, გამოიღვიძეს
თვალების ფშვრეტით ქართველი ჯერ შორიდან მიაჩ[illegible]
და ამ ცხოველს და მერმე თვითვე შეაჯდა და გა[illegible]
მისვლა მოსვლის გაადვილებამ რუსეთში საქონელის
რმოებაც გაადვილა, გაადიდა და შინაური „ბაზრის“
დველიც“ იზრდებოდა და ყლაპავდა აუარებელ სა[illegible]
ნელს. მიუხედავათ ამისა საზოგადოებაში მეორმოც[illegible]
ათე წლებში რაღაც საერთო უკმაყოფილება გამეფე[illegible]
ლიყო, მაღალი და დაბალი წოდება, თავადი, გლ[illegible]
თუ მრეწველი ყველანი რაღაც უკმაყოფილებას გრძნ[illegible]
დნენ, უკმაყოფილო იყო თავად-აზნაურობა; მას ძვე[illegible]
ბური ბრწყინვალება დაეკარგა; ფულის საჭიროებამ
კვალი აურია: მიწა ადგილები ვერ უკმაყოფილებდა
დიდებულ და გამრავლებულ მოთხოვნილებას, შინა[illegible]
ნაწარმოები არ ყოფნიდა, გადაღმა გადასასვლელათ
რაღაც ახალი ლიპონი იყო საჭირო. ამასთანავე ვაჭ[illegible]
მრეწველთა სიმდიდრე და ფუფუნება მას გულს უღრ[illegible]
და, შურს უბადებდა, ვილაც ახლათ მოთრეულე[illegible]
ბრწყინვალება მის ძველ ბრწყინვალებას სჩრდილა[illegible]
და სამაგიეროთ მთელის თავისი სიმძიმით აწვებოდა
ვიდან ყმებს, სწუწნიდა უკანასკნელ წვეთამდე სისხლ[illegible]
მხოლოდ ამ გამონაწუწმაც განცხრომის შვილს ვერ ა[illegible]
მა ის სიტკბოება, რომელსაც ის დაეძებდა, ვერ და[illegible]
რუნა წარსული დიდება ახალი დროისთვის მორთუ[illegible]
მოკაზმული და უკმაყოფილოთ წუწუნებდა, უფრო ხ[illegible]
რათ კი მთავრობას უწვდიდა სათხოვრათ ხელს და მ[illegible]
გან გამოელოდა ხსნას, უკანასკნელ შველას. შრო[illegible]
შეუჩვეველი, განცხრომის მოყვარული ის თავიდა[illegible]
მთავრობას მისჩერებოდა თვალებში და მათხოვრობა
სი დამახასიათებელი თვისებაა, მთავრობის ფეხის ლო[illegible]
მისი საარსებო საშვალებაა! უკმაყოფილო იყო ყმაც, რ[illegible]
მელიც შრომის ოფლში იხარშებოდა ბატონის მათრ[illegible]
მუდამ მოლერჯბულ [illegible]
გაბოროტებული თავის მდუღვას უკმაყოფილებას იქ[illegible]
აჯანყებით აცხადებდა. ისტორიამ არა ერთი გულის
ზარავი სურათი იცის ამ დროიდან, როცა მოთმინე[illegible]
დან გამოსული ხალხი, ბატონის სახლკარს განადგუ[illegible]
ბას ემუქრებოდა და მთავრობის ძალმომრეობით, ხიშ[illegible]
ბისა და ულმობელი მტარვალობის მსხვერპლი ხდებო[illegible]
ასობით და ათასობით. თავად-აზნაურობას მთავრ[illegible]
მფარველობდა და ხალხი ამ ორ ძალას ქვეშ კვნესოდ[illegible]
ოხრავდა. ასეთი იყო მთავრობის როლი: ძლიერის ქო[illegible]
გობა უძლურის დასამორჩილებლათ, სატანჯველათ, [illegible]
სარბევათ.

ამავე დროს ვაჭარ მრეწველი მუშას დაე[illegible]
და, მუშა კი სოფლებში ბატონის მიწებზე მიკრუ[illegible]
იყო; მრეწველიც უკმაყოფილო იყო ამნაირი გარემ[illegible]
ბით და ისიც მთავრობას ეხვეწებოდა: დაიხსენით სამ[illegible]
ბლო, მრეწველობა გადაარჩინეთ ჩვენი ქვეყანა და თ[illegible]
ნი თავი მასთან დაღუპვას, მოგვეცით მუშები წარმო[illegible]
ბის გასაუმჯობესებლათო. ერთის სიტყვით მეტათ სა[illegible]
ფათო ხანა იყო. თავად აზნაურობა ყმების საშვალე[illegible]
კიდევ სულს ღაფავდა, გლეხი ამ თავად აზნაურო[illegible]
მტარვალობით გაბოროტებული, გაბრაზებულიყო, მ[illegible]
ლოდ მრეწველი კი პირველს უკანასკნელის წართმე[illegible]
უპირებდა, თვითონ უნდა გაეყვლიფა, დაპატრონებო[illegible]
ბოგანო ხალხს. ეს სამი ერთმანეთის მოწინააღმდ[illegible]
ელემენტი მთავრობას როგორმე უნდა მოერიგებია,
თავის დაცვა უნდოდა მას ისეთი საშვალება უ[illegible]
გამოეძებნა რომ საზოგადოების ყველა ელემენტები [illegible]
კმაყოფილებია. ეს ამოცანა მთავრობისთვის ერთ და[illegible]
ავე დროს ძნელიც იყო და ადვილიც. ძნელი იყო
რადგან მოსისხლე მტრების ერთი რაიმე ზომით მორი[illegible]
ბა გასაჭირია. ადვილი იყო, რადგან ამ გამოცანის
სუხს თვით გულგადახსნილი ცხოვრება იძლე[illegible]
და მაშინდელი რუსეთის მწერლობაც ხელს უწ[illegible]
ბდა მის გადაწყვეტას. ეს იყო — გლეხის გან[illegible]
ვისუფლება ყმობისაგან. მაშინდელმა რუსეთის მ[illegible]

რლებმა ეს პრინციპი წარიმძღვარეს თავის მოღვაწეობის გასანათებლათ და მით შექმნეს მთელი მოძღვრება, მთელი მიმართულება; ცხოვრებამ უკარნახა და მწერლობამ ქაღალდზე გადაიღო, არსებულმა ეკონომიურმა პირობებმა მიუთითეს ინტელიგენციას ერთად ერთს საშვალებას და ინტელიგენციამაც ამით გაითქვა სახელი. იგი შექმნა ცხოვრებამ, ინტელიგენციას კი არავითარი რეფორმა არ შეუქნია. მთავრობაც ამ საშუალებაზე შეჩერდა და გლეხთა განთავისუფლება მოახდინა. თავად აზნაურებს ყმები ჩამოერთვა, სამაგიეროთ უფრო საჭირო იარაღი მიეცა — ფული. რამდენიმე ხნით დროს გასატარებლათ მისთვის საკმაო იყო, შემდეგისთვის კი ისევ მთავრობას ხელს გავუშვერო, იფიქრა მან. გლეხს, რომელსაც მისი პიროვნების თავისუფლება გამოუცხადეს გახარებული იყო, მან თავისუფლათ ამოისუნთქა, თუმცა მას იმდენი მიწა ხვდა წილათ რომ თავის რჩენა მისთვის შეუძლებელი ხდებოდა, მაგრამ მისთვის ესეც წარმატება იყო; ის ქალაქისკენ გაექანა სადაც ხელებ გაშლილი გახარებული მრეწველი დახვდა და თავის ქარხნებში შერეკა ბუნების აჰერში აღზდილნი მშრომელნი.

მესამოცე წლების მწერლობას იმედი არ გაუმართლდა, მათი ლიბერალური ფრაზები ნახევარზე შესწყვიტა ცხოვრებამ და გლეხთა განთავისუფლებამ ვერ დაამყარა ძმობა, ერთობა და სიყვარული. გლეხი ქალაქის მუშათ გადაიქცა და უწინდელი სოფლელი ბატონის მაგიერ მას ახალი ქალაქელი ბატონი გაუჩნდა. ის იურიდიულათ თავისუფალი იყო, მაგრამ ის თავისუფალი იყო ამასთანავე ყოველივე საკუთრებისაგან და ამიტომ ეკონომიურათ ისევ ყმად ხდებოდა, რადგან საარსებო ლუკმა უნდა ეძია თავის მარჯვენის საშუალებით. ამ მარჯვენას კი მრეწველი ყიდულობდა. ის მოარული საქონელი შეიქნა, რომელსაც ყიდულობდენ მხოლოდ იმიტომ, რომ ამ სულიერ საქონელს უსულო საქონელი გაეკეთებინა; მრეწველმა ბლომად მოუყარა მათ თავი, შერეკა ერთ სახურავ ქვეშ, იქ მაშინას მიუყენა და წარმოება გააჩაღა. მუშა მრეწველს მთელი დღით მიქირავდა, ქირათ კი იმდენს მიიღებს, რამდენიც მისი არსებობისათვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, მისი საარსებო კი სულ რამდენიმე კაპეიკს შეიცავს. მთელი დღის განმავლობაში მუშამ კი რამდენიმე მანათის საქონელი გააკეთა. მის ქირას ეს ბევრათ აღემატება და ეს ზედ მეტი ნაშრომი მთელათ საწარმოვო იარაღის პატრონს, მრეწველს მიაქვს. მუშის ინტერესია რაც შეიძლება მეტი ქირა აიღოს და ნაკლები იმუშაოს, მრეწველის კი—მუშას რაც შეიძლება ნაკლები მისცეს და მეტი ამუშაოს, ამიტომ მათ შორის მუდმივი წინააღმდეგობა არსებობს, მხოლოდ ეს წინააღმდეგობა მრეწველობის პირველ ხანაში შეუგნებელი აქვთ მუშებს და ამიტომ ამ დროის დამახასიათებელია: მცირე ფასი, დიდი სამუშაო დღე და მუშების მხრით სრული მორჩილება. მთავრობა კი კმაყოფილია ხალხის ასეთი უვიცობით და მრეწველს მხარს უჭერს ფულით, კანონით, ხიშტებით, ხოლო მშრომელს, გაყვლეფილ მუშას კი სამღვდელოებისა და სხვა თავის აგენტების საშუალებით მორჩილებას და მყუდროებას უქადაგებს. მაგრამ მთავრობის სავალალოთ და მუშათა ხალხის საბედნიეროთ ასეთი სიბნელე დიდხანს ვერ მეფობს ქარხნის კედლებში, რადგან ცხოვრების სასტიკი პირობები, ქალაქის მრავალფეროვნება, რამდენიმე ათასი კაცის ერთმანეთთან დაახლოვება, ერთმანეთის ჭირ-ვარამის გაზიარება—საუკეთესო შკოლაა მათთვის. მუშა იგნებს თავის ვინაობას, თავისს კლასსიურ ინტერესებს, პირბადის ქვეშ მტრის მახინჯს სახეს ხედავს და მის დასამარცხებლად ლესავს ძლიერ მახვილს; ეს მახვილი მუშების შეერთებული ძალაა. ამ ძალას ვერ აფრთხობს მახვილი ხიშტები, პოლიციელების გაბოროტებული სიმხეცე, ჟანდარმების გაიძვერული, გულქვავი მტარვალობა, მექარხნის ბაჯაღლოები და მთავრობის აგენტების ჩინ-ეპოლეტები. მუშების შეერთებულ ფიზიკურ ძალას გვირგვინათ ზნეობრივი ძლიერება მოსავს, ლამპრათ მომავლის ბრწყინვალე იდეალები მიუძღვის და მედგრათ, შეუპოვრათ მიაპობს ცხოვრების უსამართლობას, სრესს გარემოცულ სიფლიდეს და სიყვარულს და სათნოებას გზას უკაფავს. განა ამ დროს ეროვნულ მტრობას ადგილი აქვს? ქართველი მუშა, რუსის და სომხის მუშასთან ერთად იყვლიფება, იტანჯება, წვალობს, ძალ-მომრეობის საშეფოში სულ შეხუთული, ხელებ შეკრული, მიკრული უსულო მაშინაზე, რომლის გამონაღები მთელათ მათ პატრონს რჩება და ნამდვილს მშრომელთ კი გადანახვეტი ნასუფრალი—და გაწვალებულ ცხოვრებას ატარებინებს. ერთის მხრით მშრომელი, მეორეს მხრით—საწარმოვო იარაღების პატრონი; ერთის მხრით სიღარიბე, მეორეს მხრით განცხრომა და ფუფუნება; პირველი ქმნის სიმდიდრეს და თვით სიღარიბეში ლევს ტანჯულ სულს, მეორე მუქთით, უშრომლათ ისაკუთრებს ამ სიმდიდრეს და კოშკ დარბაზებში ნადიმებით თავს ირთობს. მილეთის ხალხის კვნესა, ოხვრა, ბინძური და ნახევრათ პირუტყული ცხოვრება სადმე დამპალ სარდაფებში და ამ ხალხის შეურიგებელ მტერს, მთავრობას ამავე დროს ბალვეჩერებით ხდება ქართველების ერთი ნაწილი. მაგრამ ეს ასეც უნდა იყოს. თავად-აზნაურობას ერთად-ერთი იმედი აქვს - მთავრობის მოწყალება და ამ მოწყალებისთვის მან უკანასკნელი გროში უნდა გაიღოს, რათა შემდეგ ათასობით დაიბრუნოს. მთავრობა კი უხვათ ურიგებს თავისს აგენტებს მუშების ოფლით მონაგარს სიმდიდრეს, ხოლო მშრომელს შრომისათვის და ადამიანური მოთხოვნისათვის მათრახით და სატუსაღოთი ემუქრება. ასეთია დღევანდელი უსამართლობა, კლასსიური წინააღმდეგობა. ეს წინააღმდეგობა უნდა მოსპოს მუშების შეერთებულმა ძალამ, რა ერისაც უნდა იყოს იგი, ეს არის პროლეტარიატის მისსია და ამ მისსიის ასრულებას ის უკვე შეუდგა დასავლეთ ევროპაში, იწყებს რუსეთში და ჩვენშიაც. გაიხსენეთ რამდენიმე თვის წინეთ ერევნის მოედანზე თუ როგორის თავმოძულებით, ენერგიით შეებრძოლა ერთი მუჭა მუშათა ჯგუფი შეიარაღებული მთავრობის ძალას. აქ რუსი, ქართველი და სომეხი მუშები რაღაც ერთი მიზნით გატაცებულიყო, ერთის სურვილით აღფრთოვანებულიყო, საერთო ინტერესით გამსჭვალულიყო; აი ამ ერთსულობაში იყო მათი ძალა და უიარაღო ბრბომ თოფ-ლეკურიანი ჯარები შეაფრთხო, შეამზადა! გაიხსენეთ ამა დროს მთავრობის საქმენი საგმირონი: მთელი ქალაქი მათრახის ქვეშ იწვაწნებოდა; ბავშვები და ქალები მტარვალების ხელში იტანჯებოდენ, მუშას განუკითხველათ სტუქსავდენ, სცემდენ, ბნელეთში ამწყვდევდენ სინანულისთვის და განაწვალების ოხვრა, კვნესა მთავრობის აგენტებს სამასხროთ და სანუგეშოთ გაეხადათ. აი ამას წინეთ პეტერბურგში მუშებმა სამუშაო ქირის მომატება ითხოვეს, არ მოუმატეს და მუშაობას თავი დაანებეს, მთავრობამ დაუყონებლივ რამდენიმე ათასი კაცი ცეცხლის ალში გაახვია, სატუსაღოებში ადგილების უქონლობის გამო ამოთხრილ ორმოებში ყრიდენ სულიერ ადამიანებს და ზევიდან შეუბრალებლათ მათგან სინანულს და მორჩილებას მოითხოვდენ. აიღეთ თუნდაც ჩვენი ახალგაზდობის უკანასკნელი დღეები. სატუსაღო, ციმბირი, ცემა ტყეპა, მექრთამეობა — აი რა საშუალებით ახშობდა მთავრობა სტუდენტების სამართლიან მოთხოვნილებას და როცა ამ საშვალებითაც ვერას გახდა სწავლის, უნივერსიტეტის მაგიერ თოფებით კაზარმებში გაისტუმრა. რომელი ერთი მოგითხრო, ჩემო მკითხველო, მთავრობის გულშემზარავი, შემაძრწუნებელი საქციელი!.. მაგრამ განკითხვის დღეც მოახლოვდა. მუშების ძალა თან და თან მატულობს, მათი სულიერი ერთობა შიშის ზარს გვრის გახრწნილ მთავრობას და მის გიგანტურ ზრდას გალესილი ხიშტებიც ვეღარ აჩერებს, მისი მომავალი თვით ისტორიით უზრუნველ ყოფილია, მუშა დღეს გაბედულათ მხოლოთ საკუთარის ძალღონით ებრძვის ექსპლოატატორს და მასთან ერთათ მის დამქაშებს: მთავრობის ძალ-მომრეობას, სალდათების ხიშტებს, პოლიციელების თავხედობას, ჟანდარმების სიფლიდეს და მტარვალობას. დღევანდელი მთავრობა მუშის მჩაგვრელთ ექომაგება, მდიდარს შველის

ღარიბის ცარცვაში და ფულით ძლიერს ხიშტების ძალას მატებს უფულო და უხიშტო მშრომელი ხალხის დასამორჩილებლად. დიახ, ასეთია დღევანდელი მთავრობა და ამ მთავრობას ხელს უწვდის, მადლობას უძღვნის ჩვენი თავად-აზნაურობა. დღეს, როცა ათასობით მშრომელი ხალხი და მისი წარმომადგენელნი ციხეში ლპებიან, დღეს როცა ჩვენ თვალწინ დღე მუდამ მდინარეები დგება ამ ტანჯული ბრბოს გამონადენი სისხლისაგან, დღეს, როცა თავისუფალი სიტყვა, მოქმედება, ძმური სიყვარული აღკრძალული ხილია ამ მრავალტანჯულ ხალხისათვის და როცა მთავრობის ბილწი აგენტები საზოგადოებაში მექრთამეობას, შიშს, გარყვნილებას სთესავენ, დღეს როცა ყოველი გულწრფელობა და პატიოსნება მთავრობის „ნადზორის" ქვეშ არის და მის სიბილწეს გამწარებული ებრძვის თვით რუსეთის საუკეთესო ნაწილი — დღეს, სწორეთ ამ დროს ჩვენი თავად აზნაურობა გამოდის ხალხის სახელით და ამავე მთავრობას მადლს ეუბნება და ძმურათ ხელს ართმევს!!!...

შორს ჩვენგან, ფლიდნო ქართველნო, შორს ბილწნო მოკავშირენო, ჩვენ თქვენთან საერთო არაფერი გვაქვს; ჩვენც გვექნება ჩვენი დღესასწაული, მხოლოთ მაშინ, როცა დღევანდელი მთავრობა მისი ბოძებითურთ დაეცემა, დაირღვევა; როცა თქვენს ბაირაღს, რომელსაც აწერია: „სიფლიდე და ძალმომრეობა" შესცვლის ჩვენი ზედწარწერით: „თავისუფლება და სიყვარული!" ჩვენც ვინადიმებთ, ვიდღესასწაულებთ, მხოლოთ თქვენსავით ძალდატანებით, მატყუერობით, ფლიდობით კი არა!!.

მაშ შეერთდეთ მეგობრებო, შეერთდეთ, ყველა ქვეყნის მუშებო, დღევანდელი გათახსირებული მთავრობის დასამარცხებლათ!!.

რუსეთი

სტუდენტების მოძრაობა. რუსეთის თვითმპყრობელობამ მეოცე საუკუნე სტუდენტებთან ომის გამოცხადებით გაათენა. მთავრობამ გადასწყვიტა მოსპოს სტუდენტებში ყოველი მოძრაობა და უნივერსიტეტები გადააქციოს კაზარმებათ. თვით სტუდენტები კი თავის ხალოპებათ. აქამდე მთავრობა იმას ცდილობდა, რომ საზოგადოებისთვის თვალი აეხვია და სტუდენტების მოძრაობას „სიჭაბუკის გატაცებას" უწოდებდა. მიუხედავათ ამისა მთავრობა მაინც ვერ ისვენებდა ამ გატაცებით "და 1899 წ. 29 ივლისს სცემს „დროებითი კანონებს", რომელშიც მთელი საზოგადოება აბუჩათ არის აგდებული და კერძოთ სტუდენტებს სასჯელათ სალდათობას უქადის. ამ ზომებმა ვერ მოსპეს სტუდენტებში და საზოგადოებაში თავისუფლების სურვილი და ის სიძულვილი რომელსაც შხამივით ასხამს ჩვენი მთავრობა ყველას. მთავრობის წინააღმდეგ მოძრაობა თან და თან უფრო იზრდებოდა.

არ გაუვლია სულ წელიწად ნახევარს რომ მთავრობამ თავის მუქარა თავს დაატეხა კიევის უნივერსიტეტის სტუდენტებს.

11 იანვარს 1901 წელს გაზეთებმა გამოაცხადეს მთავრობის გადაწყვეტილება სახალხო განათლების მინისტრის დადგენილებით 183 კიევის უნივერსიტეტის სტუდენტები სალდათებათ უნდა ჩაირიცხოსო „ყრილობაში უწესოების ჩადენის გამოო".

ამ განკარგულებამ დიდი აღელვება გამოიწვია სტუდენტებში და საზოგადოების საუკეთესო ნაწილში. ყველა უნივერსიტეტის ქალაქები მოიცვა დემონსტრაციებმა „დროებით კანონების" წინააღმდეგ.

კიევის ამხანაგების თანაგრძნობამ მოიცვა მთელი პეტერბურგის სტუდენტობა. უმრავლეს მაღალ სასწავლებლებში კრებებს კრებებზე მართავდენ. გადასწყვიტეს ობსტრუქცია მიეღოთ, რომ მოეთხოვნათ მოსპობა „დროებითი კანონებისა" და განთავისუფლებინათ კიეველ სტუდენტები.

მაგალ. ეს მოთხოვნები წამოაყენეს პეტერბურგის შეერთებულ სტუდენტების წარმომადგენლებმა 2 იანვ. (უნივერსიტეტი, უმაღლესი საქალებო კურსე[ბი], სამთო, ელექტროტეხნიკური, სატყეო და გზათა ინსტიტუტებმა, ქალების მედიცინურმა და სხვა კურსებმა, სამხედრო მედიცინის და სამხატვრო აკადემიებმა).

სამხედრო-მედიცინის აკადემიის სტუდენტებმა [?] იანვრის კრებაზედ დაადგინეს პეტიცია მიეცათ მთავრობისათვის, რომელშიც ითხოვდენ განთავისუფლებინ[ათ] სალდათათ წაყვანილი სტუდენტები და მიენიჭები[ნათ] ყრილობის უფლებები. უმაღლეს საქალებო კურსე[ბის] მსმენელებმა 3 თებერვლის კრებაზედ გადასწყვიტ[ეს] წინააღმდეგობა გაეწიათ „დროებითი კანონების" მოსპობათ. გამოსცეს ჰექტოგრაფიული წერილები, რო[მე]ლებშიც ბოგოლეპოვის, პობედონოსცევის და სიპიაგინის თვით ნებობას და თავგასულობას აშკარავებდენ.

მთავრობა ხედავდა, რომ თანაგრძნობა საზოგადოებაშიც იზრდებოდა და დაპატიმრებას მიჰყო ხელი. ბევ[რი] დააპატიმრეს, მათ შორის რამოდენიმე ლიტერატორიც.

14 თებერვალს პ. ვ. კარპოვიჩმა სასიკვდილოთ და[ჰ]კრა სახ. გან. მინისტრი ბოგოლეპოვი, რომელმაც თავის[ი] სისაძაგლით გაითქვა სახელი. დიდ თანაგრძნობას უცხადებდენ კარპოვიჩს საზოგადოებაში.

სტ. დამხმარებელ კასამ გამოსცა ფურცელი, სად[აც] იყო ნათქვამი, რომ „უნივერსიტეტის კითხვა მაშინ გა[და]წყდება, როცა რუსეთის საზოგადოებრივი ცხოვრ[ე]ბის პოლიტიკური პირობები გაფართოვდება. ძალა[ს] წინ ძალა უნდა დაუყენოთო და ეს ძალა კი თანდათა[ნ] იზრდება და უქადის განადგურებას დღევანდელ მონობას და თვითმპყრობელობასო".

საზოგადოების გამოღვიძების უკეთეს საშუალებათ გადასწყვიტეს მთელი [illegible]

19 თებერვალს ყაზანის მოედანთან უნდა მოეყარნათ თავი.

მოთავეების აზრით უნდა გამოცხადებულიყვნენ 2000 სტუდენტი, მაგრამ რაკი წინა დღეს ბევრი დაიჭირეს გადასწყვიტეს მანიფესტაცია გადაედოთ სხვა დროისთვის.

მიუხედავათ ამისა, მაინც თავი მოიყარა 300—400 მოსწავლემ და შეუერთდა ხალხს, რომელიც დემონსტრაციის მოლოდინში იმყოფებოდა.

მანიფესტანტებმა და ხალხმა მოუხვიეს ყაზანის მოედნიდან ნევის პროსპექტზედ მარსელიეზას, სიმღერით. ქვეითი და ცხენოსანი ჯარი შემოერტყა მათ და გაჰყ[ვა] ნევის პროსპექტზედ. საბჭოს შენობის ახლოს ცხენოსანი ჯარი გადაერია ხალხში და დაუწყო მათრახებით ცემა შეუიარაღებელ მანიფესტანტებს. არ ზოგავდენ არავის. ასტყდა საშინელი არეულობა. ჯარის და პოლიციის სიმხეცეს საზღვარი არა ჰქონდა. კაი ხანს გასტანა შეტაკებამ. ამ პირველმა შეტაკებამვე დაანახვა სტუდენტებს, რომ საზოგადოების თანაგრძნობა მათკენ იყო. ხელახალი დემონსტაცია დანიშნეს 3 მარტისთვის, როდესაც მინისტრის მკვლელის კარპოვიჩის საქმე უნდა გარჩეულიყო, მაგრამ, რაკი მთავრობამ დემონსტრაციის მოლოდნის შიშით საქმე გადასდო, დემონსტრაციაც 4 მარტისათვის გადაიტანეს. 4 მარტი დაუვიწყარი იქნება რუსეთის ისტორიაში. კვირას, 4 მარტს, ყაზანის მოედანი სავსე იყო ხალხით. თითქმის ხუთმეტი ათას დემონსტრანტებს მოეყარათ თავი. იმათზედ მეტი კიდევ მაყურებლები იყვნენ. 12 საათზედ აუშვეს ბურთი ჰაერში და ამართეს ორი დროშა თეთრი და წითელი. ერთზედ ეწერა „ძირს დროებითი კანონებიო". საზოგადოება, თანაგრძნობის ნიშნათ „ურას" გაიძახოდა. ბევრმა სიტყვით მიმართა საზოგადოებას. დიდხანს არ გაუვლია ასე, რომ მოიჭრა პეტერბურგის გრადონაჩალნიკი კლეიგელსი, რომლის ბრძანებით, დამზადებული ჯარი, ჩაერია დემონსტრანტებს და დაუწყო ქლეტა. იმ სიმხეცის და სისაძა[გლის] [illegible]ის აწერა, რომელიც მთავრობის ბრძანებით პოლ[იცია]

ციამ ჩაიდინა შეუძლებელია. ერთი მხრით შეიარაღებული ჯარი და პოლიცია, მეორე მხრით შეუიარაღებელი ხალხი. საღამომდი გასტანა ხალხის ამ საზარელმა სრემამ. მოკლულ იქმნა 6 კაცი (4 სტ. და 2 კურსისტკა), სამი სასიკვდილოდ დასჭრეს. დაჭრილთა რიცხვი 66 კაცი და 65 ქალია. სულ დაატუსაღეს 1058 სული. მთავრობა რომ შეშინებული იყო და გამარჯვების იმედი არა ჰქონდა ეს იქიდანაც სჩანს, რომ ნიკოლოზ II ცარსკოე სელოში გაიქცა და უბრძანა რა საშუალებითაც იყოს მოსპეთ „რევოლიუციაო“. აი სიტყვები ერთი გარადოვოისა: „მთავრობა დარწმუნებული იყო, რომ 4 მარტს რევოლიუცია დაიწყება. კლეიგელსმა შეგვყარა სუყველა პოლიციელები და აღელვებულმა სიტყვით მოგვმართა: „იცოდეთ ბევრი თქვენგანი ცოცხალი ველარ დაბრუნდება, მაგრამ თქვენზედ არის დამოკიდებული ჩვენი მეფის ხსნაო“. შემდეგ დაგვირიგა ტყვიები და ყველა სათითაოდ გადაგვკოცნა.

სტუდენტების და ხალხის დემონსტრაციები მოედო სხვა უნივერსიტეტის ქალაქებსაც: მოსკოვს, კიევს, ხარკოვს იურიევს, ვარშავას, ოდესას და სხვ. ყველა ამ ქალაქების დემონსტრაციებში მუშები დიდ მონაწილეობას იღებდენ. მოსკოვში მუშები შეადგენდენ უმრავლესობას და იქამდინ გამწვავდა შეტაკება, რომ მოსკოვის ერთ უდიდეს ქუჩაზედ ბარიკადები დადგეს. ჯარს მთავრობამ ტყვიები დაურიგა და ცხენოსან ყაზახების თავგასულობას ხომ საზღვარი არა ჰქონდა. სწავლა ყველა უნივერსიტეტებში შეწყვეტილ იქმნა.

ძიძინებული და გულგრილი საზოგადოება ამ საერთო მოძრაობამ ცოტაოდნად გამოაღვიძა. მასაც ამოუდგა დამუნჯებული ენა თვითმპყრობელობის თავგასულობამ და სიმხეცემ და ძლივას წამოილუღლუღა რამდენიმე გარკვეული სიტყვა. ესეც სასიამოვნო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. ასე თუ ისე დღეს ვხედავთ, რომ საზოგადოება გამწვავებულ მომენტებში ჰკარგავს თავის ჰაობის [illegible] რად გადააგდე ქვა. რამდენიმე პეტიცია, დაწერილი მართალია ხალოპური ენით, რომელიც მან მისცა მთავრობას, აშკარად გვიმტკიცებს, რომ პოლიტიკური უფლებები დიდი ხნის სანატრელი გამხდარა რუსეთის „საზოგადოებისთვისაც“. საინტერესოთ მიგვაჩნია მოვიყვანოთ ერთი წერილი ხელმოწერილი ,,დედის“ სახელით, რომელიც გავრცელებული იყო ყველა ქალაქებში.

ვ ი ნ ა რ ი ს დ ა მ ნ ა შ ა ვ ე? „ვინ არის დამნაშავე რომ თვითნებობა პობედონოსცევების, სიპიაგინების და ბოგოლეპოვებისა თავის თარეშობაში იმ სიმკაცრემდე მიდის, რომ 180 კიეველ სტუდენტებს სალდათებად აძლევს? ვინ იქნება დამნაშავე, თუ ესეთი სიმხეცე სხვა უნივერსიტეტებსაც დაატყდება თავს? პობედონოსცევები? სიპიაგინები? ბოგოლეპოვები? სტუდენტები? არა, არა და არა!..

დამნაშავეა ის, რამაც აღზარდა და გაამაგრა ეს თვითნებობა, რომელიც ამ მხეცურ სიმკაცრემდე მიდის. დამნაშავენი ვართ ჩვენ, პირუტყვები, მონები — ჩვენ რუსეთის საზოგადოება. ჩვენ უსიტყვოდ, უდარდელად ვითმენთ იმ დანაკლისს, ურომლისოდაც შეუძლებელია არსებობაც კი თუნდ სულ მცირე კულტურული საზოგადოებისა, ჩვენ ვძლებთ სიტყვის უთავისუფლოდ, პიროვნების და სახლის უხელშეუხებლოდ. ამ ჩვენ პირუტყვობას ვამართლებთ ჩვენთვის დამამცირებელი მოსაზრებით. ჩვენ ჯერ არ დავმწიფებულვართ ყველა ამისთვის და გავჩუმებულვართ იმიტომ რომ ვერა ვგრძნობთ მას, ურომლისოდაც კულტურული ადამიანი ვერ მოითმენდა. მაგრამ ჩვენ გაჩუმებას, ჩვენ მორჩილებას არა აქვს გასამართლებელი რამ იქ, სადაც პირუტყვიც კი ხმას ამოიღებდა. იგივე თვითნებობა, რომელიც აღვზარდეთ და გავაძლიერეთ ჩვენი ყალბობით და მშიშარობით, ჩვენ შვილებს ასობით გზავნის სალდათებათ კრების გულისთვის.

კაცი, მანამ სანამ აიყვანდეს ხელში ლეკვს ან კნუტს, მიიხედება, სად არის ძაღლი ან კატაო.

პობედონოსცევები კი უკან არასოდეს არ მიიხედებიან, მათ არავისთანა აქვთ პასუხი მისაცემი. ვისი ეშინიანთ? საზოგადოებისა?

მათ იციან მისი ფასი. აფურთხებენ პირში და ეზიზღებათ იგი!

მართლები არიან განა ისინი? დიახ! და ათასჯერ დიახ მართლები არიან!

ჩვენ პირუტყვებმა, მონებმა, ლაქიებმა — ჩვენ დავიმსახურეთ ყველა ეს. ჩვენ დავიმსახურეთ ისიც, რომ ჩვენმა შვილებმა მოგვახალონ პირში თავიანთი წყევლა და გვიძახონ მონები, შვილის მკვლელები, გვწყევლონ მუდამ მათ დაღუპულ ახალგაზდობაზე, — ისინი მართლები იქნებიან. დ ე დ ა.

რუსეთის მწერალთა კავშირმა გაუგზავნა პროტესტი მთავრობას 4 მარტს ხალხის სრემის გამო. ხელი მოაწერეს ყველა ცნობილმა ლიტერატორებმა. ეს პროტესტი იყო მიზეზი, რომ ეს კავშირი დაკეტა მთავრობამ.

პეტიციები გაუგზავნეს პროფესორებმა და საზოგადოების ლიბერალურმა ნაწილმაც. ამ პეტიციების შედეგიც იგივე იყო: დატუსაღება და გადასახლება.

მთავრობა იძულებული გახდა დაეთმო საზოგადო მოძრაობისათვის და... აცხადებს მოკლულ მინისტრის მაგიერ სახალხო განათლების მინისტრად ინიშნება სალდათების მინისტრად ნამყოფი, დამბლად ჩავარდნილი ბებერი გენერალი ვანოვსკიო! რასაკვირველია, თვითმპყრობელობა უკეთეს ვერას მოიფიქრებდა ამაზე. კაზარმებსა და სასწავლებლებ შორის მთავრობის თვალით განსხვავება არ არის და კაზარმებს ვანოვსკი დახელოვნებით იცნობს. საზოგადოება კი რომ დაემშვიდებინა ნიკოლოზ რომანოვის პირით თვითმპყრობელობამ ბრძანა, რომ სწავლა-განათლება აქამდე საძაგლათ მიდიოდა და დღეის შემდეგ ვფიცავ მამიჩემის ალექსანდრე მესამის სულს, ძალიან კარგა წავაო, თუ ,,საზოგადოება დამეხმარება“ ამ ძნელ საქმეში, მხოლოდ იმ პირობით, რომ არავინ გაჰბედოს სიტყვის იმოდება და რაიმე ნაკლის ჩვენებაო... და საზოგადოებაც გაჩუმდა... დაკმაყოფილდა.

ახლოვდებოდა პირველი მაისი და მთავრობა საგონებელში ჩავარდა: რა ზომები მიიღოს მუშათა მოძრაობის წინაამდეგ. მაგრამ რა ზომების მიღება შეუძლიან თვითმპყრობელობას თავის დასაცველად' შტიკი, ნაგაიკა და ციხე. და შეუდგა საქმეს ყველაზე პირველად არ დაივიწყა, რასაკვირველია, სილა გაერტყა მთელი ქვეყნის კულტურისათვის: ლევ ტოლსტოი, სიამაყე რუსეთის და მთელი ქვეყნის ლიტერატურისა გააძევა ქრისტიანობიდან და „უწმიდესმა“ სინოდმა თავისი წყევლა-კრულვა შეუთვალა.

დაიწყო დატუსაღება. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ის ავაზაკობა, რასაც მთავრობა იჩენდა ამ დროს. იჭერდენ ყველას, ვინც მოხვდებოდათ ხელში. იჭერდენ გაურჩევლად მუშას, ინჟენერს, დოქტორს, ვექილს, ლიტერატორს... 17 აპრილს ღამით, პეტერბურგში დათარეშობდა 1200 პოლიციელი მარტო სახლების საჩხრეკათ და დასატუსაღებლად. იმ ღამეს გაჩხრიკეს 1500-დე სახლი და 800 მდე დაატუსაღეს. მუშების უბნები შეკრეს სალდათებით და არ უშვებდენ არავის ქალაქში. მთავრობა არ დაერიდა ზარბაზნების გამოტანასაც კი. ასეთივე ამბები ხდებოდა რუსეთის ყველა ქალაქებში. ციხეები გაივსო ყველგან. მუშებს პარტიობით გზავნიდენ ,,სამშობლოში“. მაგრამ მიუხედავად ამ ზომებისა რუსეთის მუშამ იდღესასწაულა თავისი პირველი მაისი და ამით დაუმტკიცა თვითმპყრობელობას, რომ მუშათა მოძრაობას ვერ შეაჩერებს შტიკებით და ციხეებით.

ჩვენ დიდათა ვწუხვართ, რომ არ შეგვიძლიან დაწვრილებითი ანგარიში მიეაწოდოთ მკითხველს რუსეთის პირველ მაისობისა, რადგან გაზეთის ფურცლები აღარა გვყოფნის. აქ აღვნიშნავთ მხოლოდ იმ მოვლენას, რომ პირველი მაისობა იდღესასწაულეს რუსეთის ყოველ კუთხეში. აშკარად ქუჩაზედ ამგვარ პილიციურ პირობებში შეუძლებელი იყო, და მუშები ფარულათ იკრიბებოდენ.

პირველი მაისობა იყო მიზეზი მრავალ ზავოდ-ფაბრიკებში არეულობისა და, სხვათა შორის, მაისობამ გა-

მოიწვია ცნობილი შეტაკება ობუხოვის ზავოდში, სადაც მუშებს ესროლეს სალდათებმა და ოცდახუთ კაცამდე მოკლეს.

—

რუსეთის რევოლიუციონურმა მოძრაობამ დიდი თანაგრძნობა გამოიწვია დასავლეთ ევროპის ყველა ადგილებში. საერთაშორისო მუშათა კომიტეტის ბრიუსელის სეკრეტარიატმა გაზეთ ,,ხალხში'' დაბეჭდა რუსეთის დელეგატების ბ. კრიჩევსკის და გ. პლეხანოვის მოწოდება, რომლითაც დელეგატები უწოდებდენ საერთაშორისო კომიტეტს მიემართა მას მანიფესტით მსოფლიო პროლეტარიატისთვის. და კომიტეტმაც დაუყონებლივ მიმართა ყველა ქვეყნის პროლეტარიატს თავისი მოწოდებით. ai ეს მოწოდებაც: ,,საერთაშორისო სოციალისტური კომიტეტი. სეკრეტარიატი სახალხო სახლი. ბრიუსელი. 21 აპრილს 1901 წ.

ყ ვ ე ლ ა ქ ვ ე ყ ნ ი ს მ უ შ ა თ ა პ ა რ ტ ი ე ბ ს.

მეტად მიგვაჩნია ვილაპარაკოთ იმ შესანიშნავ მოვლენებზე, რაიცა ამ ჟამად ხდება რუსეთში. ჩვენმა ამხანაგებმა იციან ამაზედ საზოგადო გაზეთებიდან და კერძოდ სოციალისტურ გაზეთებიდან, რომლებითაც რუსეთის ჩვენი მეგობრები გვატყობინებენ ყველაფერს.

როგორც რუსეთის დელეგატები სწერდენ საერთაშორისო სოციალისტურ კომიტეტს უკანასკნელ თვეების ამბები რუსეთში გვიჩვენებენ თვითმპყრობელ იმპერიის ისტორიულ პირობების შეცვლას.

პირველ ხანებში სტუდენტობის მოძრაობა გადავიდა თავის ვიწრო ფარგლებიდგან და გახდა ღრმა სოციალურ მოძრაობათ, რომლის გამოც ინძრევა მთელი რუსეთი, ირყევა რუსეთში გამეფებული წყობილება და რომელიც ეზიდება ხანგრძლივს და მსხვერპლებით სავსე, მაგრამ გამამხნევებელს ბრძოლისკენ ქალაქების ინტელიგენციას და საწარმოვო ცენტრების პროლეტარიატს.

იქ, შორეულ რუსეთში, ათასობით მუშა, ათასობით მამულიშვილები საზოგადოების ყოველი კლასებიდგან წინაშე იმ დიდებულ გამოცანისა, რომელიც მათ წინ უდევთ, აღსავსენი არიან ვაჟკაცობით, ნდობით და სოლიდარობით თავის ევროპიელ, ამერიკის, ავსტრალიის და აზიის მეგობრებისადმი. მათ კარგა იციან, რომ რუსეთის კაპიტალიზმთან და ცარიზმთან ბრძოლით, იბრძვიან მუშათა განთავისუფლებისათვის—ყველა ქვეყნის მუშათა პარტიების სოციალისტური საქმისათვის.

საფრანგეთში უკვე შედგა ხალხის ყრილობები, შეკრებილი იმ მიზნით, რომ ეცნობებინათ საზოგადოების აზრი რუსეთში რევოლიუციონურ მდგომარეობაზე; ბელგიაში ამ გვარი მიტინგები იმართება ეხლა. უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ სოციალისტური პარტიები ინგლისის, გერმანიის, ავსტრიის, დანიის, გოლანდიის, შვეიცარიის, იტალიის, ისპანიის, ჩრდ. ამერიკის შეერთებული შტატების და დანარჩენი ქვეყნებისა მიჰყვებიან ამ მაგალითს და ამ სახით საერთაშორისო პროლეტარიატი ერთსულად გამოაცხადებს პროტესტს ცარიზმის (თვითმპყრობელობა რუსეთის, სიტყვა царь-იდან) მხეცური მოქმედების წინაღმდეგ.

ჩვენ მოგიწოდებთ მიტინგების გასამართავად ყველა დიდ ქალაქებში, მუშების და უნივერსიტეტების ცენტრებში, მოგიწოდებთ ამ მიტინგებზე პროტესტების, რეზოლიუციების მისაღებათ ხმის მიცემას და თუ საჭირო იქნება, პროტესტანტების ხელის მოწერასაც. ჩვენ ვაყენებთ კენჭის საყრელად ყველა თქვენ მიერ გამართულ ყრილობაზე შემდეგ რეზოლიუციას:

„მამულიშვილები, შეყრილნი ქ..... მოწოდებით, გამოუთქვამენ თავის აღტაცებას რუსეთის პროლეტარიატს. ისინი უცხადებენ თავის სოლიდარობას რუსეთის ინტელიგენტებსა და მუშებს, რომელნიც იბრძვიან წინაღმდეგ კაპიტალიზმისა და ცარიზმის შეერთებული ძალისა. ისინი უთვლიან რუსეთის რევოლიუციონერებს თავის თანაგრძნობას და ამხნევებენ მათ გააგრძელონ ბრძოლა სრულს გამარჯვებამდე“.

ჩვენ გთხოვთ შემდეგ ამისა გვაცნობოთ რაც შეიძლება მალე ყველაფერი რაც კი მოხდება ამ მიმართულებისკენ; და აგრეთვე გამოგვიგზავნოთ რეზოლიუციები და პროტესტანტების ხელმოწერილი სიები, რათა შევაგვეძლოს შევაერთოდ მოძრაობა იმ ზიზღისა, რომლითაც აღსავსენი ვართ წინაღმდეგ იმ მხეცური მოქმედებისა, რომელსაც იჩენს საზარელი და ბარბაროსული მართველობა.

საერთაშორისო სოციალისტურ კომიტეტის წევრები. (ხელს აწერენ დელეგატები: ინგლისის, გერმანიის, ავსტრიის, ბელგიის, დანიის, ისპანიის, საფრანგეთის, გოლანდიის, იტალიის, ნორვეგიის, პოლშის, რუსეთის, შვეიცარიის, შვეციის, შეერთებული შტატების).

ამოწმებს სეკრეტარი ვიქტორ სერვი

ამ მოწოდებას შედეგათ მოჰყვა ის მღელვარე მიტინგები, რომელიც მთელ ევროპას მოედო. ყველა ქალაქში გამართული იყო წინაღმდეგ რუსეთის თვითმპყრობელობის პროტესტის გამოსაცხადებლად კრებები. ყველა დამსწრენი აღფრთოვანებით ეგებებოდა კრების მიერ მიღებულ რეზოლიუციას და ათასი აღელვებული გულიდამ ამოძახილი „ძირს რუსეთის ცარიზმი! ძირს თვითმპყრობელობა! გაუმარჯოს რუსეთის რევოლიუციონერებს!“ არღვევდა ჰაერს და მათ სალამს, მათ სიმპატიას უგზავნიდა რუსეთის მებრძოლთ. ბევრ ადგილას კრება იქამდე აღელვებული იყო, რომ დამსწრენი მზათ იყვნენ მოქმედებით გამოეხატათ თავიანთი ზიზღი რუსეთის მართველობისადმი. ჟენევაში (შვეიცარიაში) კრებიდან ხალხი გაემართა რუსეთის ელჩის სახლისკენ, ჩაამტვრიეს სახლის ფანჯრები, მოგლიჯეს რუსეთის ღერბი ორთავიანი არწივი ემბლემა თვითნებობისა და გადაუძახეს მდინარე რონაში. თვითონ ელჩმა თავი შეაფარა პოლიციას. ვენაში ასი ათასიანი კორტეჟი სოციალისტებისა გაემართა ელჩის სახლისკენ და უნდოდათ სამაგალითო დემონსტრაცია მოეხდინათ რუსეთის მთავრობის წარმომადგენელისთვის, მაგრამ ავსტრიის ჯარმა მიუსწრო მანიფესტანტებს და დაიცვა შესავალი ქუჩები.

რაც უფრო საყურადღებოა—თვით სლავიანების ქვეყნებიც კი მხურვალე მონაწილეობას იღებდენ რუსეთის მართველობის წინაღმდეგ პროტესტებში. სერბია და ბოლგარია. ეს ორი პატარა სახემწიფო, რომლებიც დღემდე რუსეთის მთავრობის კალთის შემყურეები და მისი მონა-მორჩილები იყვნენ, დღეს მისი საუკეთესო ნაწილი ინტელიგენცია და პროლეტარიატი ძმურ ხელს უწვდიან თავის ძმებს რუსებს და თანაგრძნობას უცხადებენ, ამხნევებენ ტირანიული მართველობის ძირს ჩამოსაგდებათ. განსაკუთრებით ბოლგარიაში მოხდა აღელვებული პროტესტი. 23 აპრილს, როდესაც ბოლგარიის ხალხი დღესასწაულობს თავის რევოლიუციის წლის თავს ურიცხვი ხალხი შეიკრიბა დახოცილ რევოლიუციონერების საფლავებთან და იქ თვითონ თავის მთავარ ფერდინანდის თანადასწრებით ხალხის წარმომადგენლებმა გაჰკიცხეს რუსეთის თვითმპყრობელობა და გამოუცხადეს თანაგრძნობა რუსეთის მებრძოლთ. აღელვებულმა ხალხმა თავის გმირების საფლავზედ შეჰფიცეს აღმოუჩინონ ყოველივე დახმარება რუსეთის რევოლიუციონერთ.

საზოგადოება მთელ ევროპაში რუსეთის მუშებთა და ინტელიგენციის მხარეს იყო. ყველა გაზეთები ბურჟუაზიულიც კი დიდს თანაგრძნობას უცხადებდენ რუსეთის მებრძოლთ და ჰკიცხავდენ იმპერატორის მართველობას. ის შთაბეჭდილება და მორჩილების გავლენა, რომელშიც ევროპა იმყოფებოდა ჯარის მოსასპობ მანიფესტის დღიდგან გაჰქრა. ევროპამ აშკარად დაინახა მთელი ფარისევლობა, სიფლიდე და სიმხეცე, რასაც ადგია რუსეთის მთავრობა.

და აი ამ საწინააღმდეგო შთაბეჭდილების მოსასპობად იმპერატორი თავის ცოლით თვითონ ეწვია ევროპას რომ ჯარის „ურას“ ძახილი ევროპის საზოგადოების თანაგრძნობათ მოაჩვენოს თვითონ რუსეთს.

—

Переводъ съ грузинскаго

60

Перев. стр. прок. секретар. стр. 51.

Грузины. Нынѣ дворяне и князья у насъ празднуютъ, пиршествуютъ выражая вѣрноподданническія чувства представителю Русскаго Царя. Нынѣ во дворцѣ, построенномъ на нашихъ развалинахъ намъ говорятъ: веселитесь, играйте и смѣйтесь, тогда какъ намъ ни чуть не весело, не смѣшно, а наоборотъ сердце полно желчью. Они намъ говорятъ: увѣримъ правительство, что мы его преданные друзья готовые пожертвовать жизнью, а взамѣнъ правительство не пощадитъ свою милость для нѣкотораго облегченія трудоваго ярма нашего. Говорятъ они это и забываютъ, что Русскому правительству,- сто лѣтъ служа которому и жертвуя всѣмъ что намъ такъ дорого: землей, языкомъ, совѣстью и честью,- ни разу не пришла въ голову мысль вернуть намъ все то лучшее безъ котораго смерть предпочтительней жизни.- Говорятъ намъ: смѣйтесь и веселитесь, но они не видятъ, какъ мы слезливыми глазами смотримъ на нашу разрушенную и обезчещенную родину.- Говорятъ намъ, что Государь шлетъ намъ Манифестъ въ которомъ мы найдемъ спасеніе наше и излеченіе отъ болѣзни нашей.

Эту бумагу Царя мы въ свое время оцѣнимъ, а теперь мы скажемъ, что мы всегда и каждый разъ должны имѣть въ виду одно, что потеряли и что намъ за это даютъ. Насъ не можетъ удовлетворить незначительное исправленіе беззаконія. Не удовлетворитъ насъ также улучшеніе быта дворянъ. То что отняли, того намъ не вернутъ, а остальное ничто для насъ, такъ как главная причина нашего паденія была и есть уничтоженіе нашихъ историческихъ правъ, и уничтоженіе политической свободы Грузіи.

Это мы должны имѣть въ виду и этимъ мы должны измѣрять наше современное положеніе и возможность его перемѣны. Пора намъ проснуться и подумать о беззаконномъ уничтоженіи правъ Грузіи. Наша сила въ этой идеѣ и въ настоятельности его. Такъ энергичней и храбрей Грузины.

Группа Грузинской молодежи 25/IX—1901 г.

Переводилъ съ грузинскаго переводчикъ Тифлисскаго Губернскаго Жандармскаго Управленія, Коллежскій Секретарь Шотніевъ.-

Съ подлиннымъ вѣрно:

Начальникъ Тифлисскаго Губернскаго

Жандармскаго Управленія, Полковникъ

Ал. № 2

Копія.

ПЕРЕВОДЪ.

Грузины. Вы всѣ разумѣется прочли вѣроятно "Манифестъ" Государя. Узнали, если до сихъ поръ не знали, чего намъ даетъ правительство за наши вѣрноподданнѣйшія чувства. Узнали вѣроятно и убѣдились чего мы должны ожидать отъ правительства и до чего довело насъ наше безграничное подчиненіе. Вникните въ 6-ти пунктахъ "Манифеста" и вычитаете наше униженіе и ничтожество грузинскаг народа.

Вотъ что намъ даетъ правительство:

I| Во Владикавказѣ будетъ открытъ корпусъ и въ это военное училище примутъ дѣтей дворянъ и князей для развращенія и воспитанія раболѣпыхъ людей русскаг войска; 2| Дворянству дарується нѣсколько грошей, и то изъ нашего же шея возмѣщенныя, для просвѣщенія, съ тѣмъ, что эти деньги должны быть употреблены по распоряженію Главнаго Начальника Кавказскаго Края, т.е. на дѣло воспитан и просвѣщенія никогда не употреблятся; 3| Дворянству на три года прощается государственная денежная повинность и что за это время казна потеряетъ, возмѣстить съ народа и такимъ образомъ и дворянство останется довольнымъ и правительство не останется въ убыткѣ; 4| По четвертому пункту "Манифеста" у дворянства отнимается право распоряжаться по своему усмотрѣнію чистою прибылью своего же банка и это право, которое прежде принадлежало дворянству, передается Главному Начальнику Кавказскаго Края; 5 - 6| По пятому и шестому пунктамъ должно быть осчастливлено наше передовое сословіе, такъ какъ ему дают тѣ деньги, кои ему же принадлежатъ |запасный капиталъ дворянскаго банка| и прощаются незначительныя "недоимки".

Вотъ эти милости, коими русское правительство должно было осчастливить Грузію. Вотъ тотъ безсовѣстный, отъявленнѣйшій отвѣтъ, который унижаетъ нар и надсмѣхается надъ нимъ только и больше ничего. Радуйтесь дворянство. Ваше рабское подчиненіе и главоприклоненіе даже для насмѣшекъ недовольно правите ству, которое за ваше оскорбленіе чести и проданное Вами свое отечество, пр стили Вамъ какія то "недоимки" и не вѣрятъ вамъ даже на столько, что назна ныя для воспитанія и просвѣщенія Вашихъ дѣтей деньги, вручило "Солдату". Т жествуйте высокочтимые, знатные князья. Праздну́йте просвѣщенные придворные сановники достойную награду получили вы за вашу усердную службу. А ты благо родный труженникъ Грузинскій народъ. Ты ничего не ожидалъ отъ правительства Ты хорошо зналъ, что это постыдное празднество было лишь по силѣ и величіи правительства. Вникни въ Манифестъ и не только никакого облегченія въ свои

Ал. № 2

нуждахъ не усмотришь, но даже и помину объ тебѣ нѣтъ.

"Манифестъ" надсмѣхается надъ дворянствомъ и оскорбляетъ народъ. К
изъ дворянъ и князей удержалъ еще свое благородство и достоинство съ э
го дня долженъ быть врагомъ русскаго правительства. Онъ отрезвиться,
опомнится и увидитъ что имѣть съ правительствомъ связь, не только пост
но пагубно и разорительно. Грузинскій народъ: и носильщикъ и крестьяни
навсегда убѣдятся, что должны выступить на полѣ брани и идти противъ в
га. Грузинскій народъ понялъ, что его двояко преслѣдуютъ: какъ труженн
и какъ грузина и потому онъ долженъ быть на готовѣ защитить свои народ
національные интересы.

Благосостояніе народа требуетъ уничтожить имущественную неравномѣр
и образовать демократическое общество. Благосостояніе народа требуетъ
становленія политической свободы Грузіи, такъ какъ главною причиною на
отсталости служитъ полноправность русскаго правительства въ Грузіи, к
рое старается уничтожить грузинскую народность совсѣмъ. Грузины должн
это помнить и приготовиться къ защитѣ своихъ народныхъ національныхъ
ресовъ.

Да здравствуетъ національная демократія.

Комитетъ Грузинской демократіи. 28 Сентября 1901 года

Перевелъ Дѣлопроизводитель Телавскаго Уѣзднаго Управленія Е. Сакваре

Съ подлиннымъ вѣрно:

Начальникъ Тифлисскаго Губернскаго

Жандармскаго Управленія, Полковникъ